

გიორგბი ქონებაჩამორთხეულის სახლში პაპუაშვილი


პერიოდული გამოცემა №1

სისხვა პოქალაქის წინააღმდეგ



გიორგი პაპუაშვილი

VVS



როლანდ ბლადაძე

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ 2014 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, უკანონოდ ქონებაჩამორთმეულის, როლანდ ბლადაძის სახლში ცხოვრობს. აღნიშნული ისტორია უკვე გაცდა პრესის ფურცლებს და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი დაიმსახურა. საქმე ეხება შემთხვევას, რომლის ისტორიაც, ფართო საზოგადოების წინაშე, პირველად ორგანიზაციის იურისტებმა გახადეს ცნობილი. მონიტორინგი გადმოსცემს როლანდ ბლადაძის საქმეს, რომელიც იმ პირთა შორის აღმოჩნდა, ვისაც ქონება ნების სანინააღმდეგოდ, 2004 წელს წაართვეს.

მაშინდელი სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო სისტემა და ადმინისტრაციული ორგანოები, შეთანხმებულნი აღმოჩნდნენ, ემოქმედათ შერჩევითი სამართლის გამოყენებით, რათა თვალსაჩინო გამხდარიყო აჭარაში საჯარო მოხელეების გასამართლებისა და სამართლებრივი დევნის საკითხი.

ისტორიას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ის ფაქტი, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, როლანდ ბლადაძისთვის ჩამორთმეული ქონება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს 2007 წელს დაუთმო, რომელიც დღემდე, ოჯახთან ერთად, აღნიშნულ სახლში ცხოვრობს. ორგანიზაციის კვლევა სრულად გადმოსცემს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ მხარეს, რომელიც საქართველოში, 2003-2012 წლებში, ქონებაჩამორთმეულთა საქმეების თვალსაჩინო გაგრძელებას წარმოადგენს.

საქმეზე, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ განხორციელებულმა ობიექტურმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ როლანდ ბლადაძის მიმართ, 2004 წლის აგვისტოში, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ბრალდებით, აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ქონების ჯერ უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა, შემდეგ კი ჩამორთმევა, იყო უსაფუძვლო და ხელოვნურად შექმნილი მტკიცებულებებით გამყარებული. ამიტომაც, როლანდ ბლადაძე, ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისთვის სამართლებრივ დავას განაგრძობს და არ გამოირიცხავს საქმისწარმოების გაგრძელებას ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში.

ორგანიზაციის მიერ აღნიშნული საქმის საფუძვლიანმა შესწავლამ, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, მკაფიო გახდა გარემოებები, რომლის იგნორირება-

მაც, დაარღვია მოქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლება - სამართლიანი სასამართლოს უფლება, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტებმა, მოქალაქის დაცვის და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ნაცვლად, შექმნეს ყველანაირი პირობა, რათა საქმეზე კანონის უზენაესობა პოლიტიკის ავტორთა სუბიექტური გადაწყვეტილებებით შეცვლილიყო.

ორგანიზაციამ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, სარეკომენდაციო წინადადებებით, უკვე მიმართა საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას. კვლევის ინგლისურენოვანი ვერსია უკვე გადაეგზავნათ საქართველოში დიპლომატიურ კორპუსს, ევროპის 20-მდე ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს, ვენეციის კომისიას, საერთაშორისო ორგანიზაციებს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ კვლევა-

ზე მუშაობა 2014 წლის თებერვლიდან დაიწყო. მონიტორინგი მკითხველს დეტალურად წარმოუდგენს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ მხარეს, მათ შორის ისტორიას, რომელიც გადმოსცემს საქმეში ყველა თანამონაწილე თანამდებობის პირის სადღესო სტატუსს და თავად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის პოზიციას.

წინამდებარე გაზეთის მიზანია, სწორედ უპასუხოს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემაზე მკითხველს და სრული ინფორმაცია მიეწოდოს ამ ერთი გახმაურებული საქმის ისტორიის, არსებული მდგომარეობისა და სამართლებრივი მოქმედებების თაობაზე. გაზეთის მიზანია, სახელმწიფოს შეახსენოს მომხდარი დანაშაულებრივი მოქმედებები და საზოგადოებასთან ერთად, მკაცრად თქვას უარი ასეთი ისტორიების საქართველოში, კიდევ ერთხელ განმეორებაზე.

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

DIGNITY
LIBERTY
EQUALITY

როგორ ჩამოერთვა როლანდ ბლადაძის საქმის ქონება სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ



ვინ არის როლანდ ბლადაძე?

როლანდ ბლადაძე 2001-2004 წლებში ეკავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის“ უფროსი მოადგილის თანამდებობა. ვინაიდან როლანდ ბლადაძე იყო 2004 წლამდე, აჭარის იმჟამინდელ მთავრობასთან დაახლოებული პირი და ეკავა მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობა, მისი სამოქალაქო და პოლიტიკური შეხედულებები, რადიკალურად მიუღებელი აღმოჩნდა 2003-2012 წლებში მოქმედი ხელისუფლებისთვის, რაც თავიდანვე გამოიკვეთა და ხელშესახები ფორმები მიიღო იმ ქრონოლოგიური განვითარებით, რითაც როლანდ ბლადაძე იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა, ემიგრაციაში წასულიყო და ამ ფორმით პიროვნული უსაფრთხოების საკითხი დაეცვა. დღეს უკვე, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეები თანხმდებიან იმ გარემოებაზე, რომ როლანდ ბლადაძე იმ პირთა შორის აღმოჩნდა, რომელსაც ქონება ნების საწინააღმდეგე წაართვეს. სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო სისტემა და ადმინისტრაციული ორგანოები შეთანხმებულნი აღმოჩნდნენ ემოქმედათ შერჩევითი სამართლის გამოყენებით, რათა თვალსაჩინო გამხდარიყო აჭარის ყოფილ მეთაურთან, ასლან აბაშიძესთან დაკავშირებული მოხელეების გასამართლებისა და შემდგომი სამართლებრივი დევნის საკითხი.

როლანდ ბლადაძე 2004 წლის 28 აგვისტოს, ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, ვინაიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის“ უფროსი მოადგილის თანამდებობაზე, იყო მოხელე და ევალებოდა გამშვებ პუნქტ „სარფის“ საქმიანობის ნორმატიული წარმოების უზრუნველყოფა. მას ბრალად დაედო, რომ განზრახ არ შეასრულა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა. კერძოდ, 2003 წლის მაისის თვიდან ამავე წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით განვილი პერიოდში, არ უზრუნველყო სათანადო კონტროლი მის დაქვემდებარებაში მყოფი მეზაჟოების მიერ საქართველოში, სარფის საბაჟოზე, თურქეთიდან შემოტანილი მოძრავი ტვირთის განბაჟება, რის შედეგადაც, სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადის სახით, როგორც მაშინ ჩაითვალა, დააკლდა 15 950 აშშ დოლარის გადასახადი. საერთო ჯამში, როლანდ ბლადაძეს ბრალად დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენება, მოგვიანებით ბრალი დაუმძიმდა და შეერაცხა გამოძალვა, დიდი ოდენობით სხვისი ქონების მიღების მოთხოვნა ძალადობის გამოყენების მუხლით.

ყველა ზემოაღნიშნული ბრალდება იყო ხელოვნურად შექმნილი ისტორია, მხოლოდ იმ მიზნით, რომ როგორც აჭარის ყოფილ მთავრობასთან დაახლოებული პირისთვის და იმჟამად ახალი მთავრობისთვის „არასასურველი“ კადრისთვის, მაქსიმალური ზიანი მიეყენებინათ. აღნიშნულს მოწმობს 2013 წლის 12 აპრილს, აჭარის ა/რ პროკურატურის მიერ მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც, როლანდ ბლადაძის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა, სისხლის სასამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედებების არარსებობის გამო. როლანდ ბლადაძე უდანაშაულოდ ცნეს ყველა იმ ბრალდებაში, რომლის ჩადენასაც ედავებოდნენ.

დებების არარსებობის გამო. როლანდ ბლადაძე უდანაშაულოდ ცნეს ყველა იმ ბრალდებაში, რომლის ჩადენასაც ედავებოდნენ.

როგორ ჩამოერთვა ქონება როლანდ ბლადაძის?

მას შემდეგ, რაც როლანდ ბლადაძე უკანონოდ მიეცა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობა, 2004 წლის 26 აგვისტოს, აჭარის ა/რ პროკურორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა როლანდ ბლადაძის ქონების უკანონოდ, დაუსაბუთებლად ცნობა, ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა. მაშინდელმა პროკურატურამ მოითხოვა შემდეგი ქონების უკანონოდ, დაუსაბუთებლად ცნობა, ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა: საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში, ერას ქ. #37, ბ 8, საერთო ფართი: 215,6 კვ. მ.; საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, ნ. დუმბაძის ქუჩაზე, მიწის ნაკვეთი ქობულეთის რაიონის სოფელ სამეხაში, ავტომანქანა მერსედეს-ბენც WMM 009 ლირებული 40000, ავტომანქანა ვაზ-31-10, სახელმწიფო ნომრით IOO 462 და ავტომანქანა ვაზ-31-10, სახელმწიფო ნომრით IOO 426.

2004 წელს, პროკურატურა თავისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა, რომ მათ მიერ როლანდ ბლადაძის შემოსავლების შესახებ მოპოვებული მტკიცებულებები ვერ უზრუნველყოფდა სარჩელში ჩამოთვლილი ქონების მოპოვებას. კერძოდ, როლანდ ბლადაძე, 2001 წლიდან 2004 წლის აპრილამდე, მუშაობდა სარფის გამშვები საგუშაგოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. პროკურატურის განმარტებით, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისი შემოსავალი არ იყო იმ ოდენობის, რომ როლანდ ბლადაძეს მოეპოვებინა მის საკუთრებაში არსებული ქონება. შესაბამისად, 2004 წლის 10 სექტემბერს, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება როლანდ ბლადაძის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ არ გაიზიარა პროკურატურის მოთხოვნა მხოლოდ ერთ ნაწილში - მან უარი თქვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედასამებაში საცხოვრებელი სახლის უკანონოდ, დაუსაბუთებლად ცნობასა და ჩამორთმევაზე, ვინაიდან აღნიშნული საცხოვრებელი ეკუთვნოდა როლანდ ბლადაძის მამას, უსუფ ბლადაძეს და წარმოადგენდა მამაპაპისეულ სახლს, რის გამოც პროკურატურას, სარჩელის ამ ნაწილში, დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, ხოლო როლანდ ბლადაძის სხვა ქონების ნაწილში, პროკურორის მოთხოვნა - დაკმაყოფილდა.

უაქტუბი. რომელის მსჯელობის მიღვა აღმოჩნდა

2004 წლის 10 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან დავის განხილვა მოხდა ისე, რომ სასამართლოში დავის არსებობისა და სხდომის შესახებ ინფორმირებული არ იყო როლანდ ბლადაძე და არც

მისი კანონიერი ინტერესების წარმომადგენელი. შესაბამისად, მხარეს არ მიეცა საშუალება დაეცვა საკუთარი უფლებები, რითაც დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება, მართლმსაჯულების ხელმისწავლობა და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. გარდა ამისა, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მტკიცებულება, რომ როლანდ ბლადაძის საკუთრებაში რეალურად იყო მხოლოდ საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში, ერას ქ. #37, ბ 8, საერთო ფართი 215,6 კვ.მ. (ამჟამად გორგილაძის ქუჩა), დანარჩენი ქონებები კი, რომლის ჩამორთმევაც პროკურატურამ მოითხოვა, ელემენტარულად, როლანდ ბლადაძეს არ ეკუთვნოდა. მაგალითად, ავტომანქანები ნღების წინ იყო გასცხოვრებული, რაც შეეხება საცხოვრებელი სახლს მდებარე ქ. ბათუმში, ნ. დუმბაძის ქუჩაზე, დღემდე გაურკვეველია, რომელ საცხოვრებელ სახლზეა საუბარი, ვინაიდან პროკურატურის მოთხოვნაშიც, აღნიშნულ ბინას ნომერი არ ჰქონდა მითითებული. აღნიშნული სახლი, არც არასდროს ეკუთვნოდა როლანდ ბლადაძეს ან მისი ოჯახის რომელიმე წარმომადგენელს.

გარდა ამისა, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ქვემოთა, რომ საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში, ერას ქ. #37, ბ 8, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუსაბუთებლად, უკანონოდ იქნა ცნობილი, ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა, როლანდ ბლადაძის მიერ შეძენილ იყო 1999 წელს, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული იქნა 2000 წელს ანუ მანამდე სანამ, როლანდ ბლადაძე დაიკავებდა საჯარო მოხელის თანამდებობას, აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის პროკურატურის სასარჩელო მოთხოვნასთან, ვინაიდან, პროკურატურა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა, რომ მათ მიერ როლანდ ბლადაძის შემოსავლების შესახებ მოპოვებული მტკიცებულებები ვერ უზრუნველყოფდა სარჩელში ჩამოთვლილი ქონების მოპოვებას, როლანდ ბლადაძის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, 2001-2004 წლებში, მისი შემოსავალი არ იყო იმ ოდენობის, რომ როლანდ ბლადაძეს მოეპოვებინა მის საკუთრებაში არსებული ქონება. ქონება კი, რომელიც ჩამოართვეს, შეძენილია 1999 წელს, ვიდრე როლანდ ბლადაძე დაიკავებდა საჯარო მოხელის თანამდებობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიც ცალსახად უჩვენებს, რომ იმ პერიოდის პროკურატურა და სასამართლო, უკანონოდ მოქმედებდნენ და ადგილი აქვს სისტემური დანაშაულის ნიშნებს.

მიუჩიოვნილი

მართლმსაჯულების ეპოქა

როლანდ ბლადაძემ თავისი კანონიერი ინტერესების დამცველთა მონაწილეობით, აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, დაიწყო დავა ჩამორთმეული ქონების დაბრუნების მოთხოვნით, ამ მიზნის მისაღწევად კი გამოყენებულ იქნა კანონით მინიჭებული ყველა საშუალება, თუმცა მაშინდელი სასამართლო სისტემისა და პროკურატურის პირობებში, უშედეგოდ. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი

საკასაციო საჩივარი, იმ საფუძველით, რომ თითქოსდა გასაჩივრების ერთგვარი ვადა იყო გამოვებული. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ როლანდ ბლადაძეს აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება გაეგზავნა 2004 წლის 08 ოქტომბერს. გზავნილის მეორე გვერდზე აღნიშნულია, რომ კურიერის მიერ გზავნილზე მითითებულ მისამართზე ადრესატის პოვნა ვერ მოხერხდა და მეზობლის განმარტებით, ადრესატი — როლანდ ბლადაძე იმყოფებოდა ქალაქგარეთ, რის შედეგადაც, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება 2004 წლის 11 ოქტომბერს ჩაბარდა ქ. ბათუმის გამგეობას, რაც დასტურდება გზავნილზე დასმული ბეჭდით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო გამგეობისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. რის გამოც გასული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397—ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების ერთგვარი ვადა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველთა დასაბუთება, რომლის თანახმადაც, აჭარის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 10/09/2004 წლის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილებული იქნა აჭარის პროკურატურის სასარჩელო განცხადება როლანდ ბლადაძისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ ისე, რომ სასამართლოს არ ესწრებოდნენ არც როლანდ ბლადაძე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81—ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არც მისი ადვოკატი, რომელიც მას აუცილებლად უნდა დანიშნვოდა. მხარემ მითითა, რომ დაირღვა კანონი, როდესაც არც სასამართლო უწყება და არც გადაწყვეტილება, სათანადო წესით, არც როლანდ ბლადაძეს და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრს, არ ჩაბარებია. ამასთან, მხარე მითითებდა, რომ 2004 წლის 8 ოქტომბრით, სასამართლო გზავნილზე კურიერის შემდეგი ჩანაწერი: „მივედი აღნიშნულ მისამართზე. ადრესატის პოვნა ვერ მოხერხდა. მეზობლების განმარტებით, როლანდ ბლადაძე იმყოფებოდა ქალაქგარეთ. 11.10.2004 წ“, არ შეიძლება სარწმუნო ცნობად მიღებულიყო, რადგანაც საქმეში არ მოიძებნა მეზობლების ხელმოწერით შედგენილი სათანადო ოქმი, რომელიც კურიერისთვის როლანდ ბლადაძის ქალაქგარეთ ყოფნის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დაადასტურებდა. პირიქით, როლანდ ბლადაძის მეზობლები ამტკიცებდნენ საპირისპიროს, რომ მათთან არც სასამართლო უწყებით და არც გადაწყვეტილებით, სასამართლოდან არავინ მისულა, ხოლო თუ როდის ჩაიბარა მერიის კანცელარიაში გზავნილი, არსად მითითებული არ იყო. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა მტკიცებაც, რადროსაც, 2004 წლის 15 სექტემბრიდან, დაუსაბუთებლად და უკანონოდ მიჩნეული უძრავი ქონების მისამართზე იმყოფებოდა როლანდ ბლადაძის ოჯახი — სამი მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე მარინა ესელიძე. კურიერი ერთხელ მაინც, რომ მისულიყო აღნიშნულ მისამართზე, იქ როლანდ ბლადაძის მეუღლე დახვებოდა. ასევე, საქმეში არსებობდა ცნობა იმის შესახებ, რომ როლანდ ბლადაძე ცხოვრობდა

როგორ გადავსა როლანდ ბლადაძის ქონება გიორგი პაპუაშვილს დანაშაული კანონის სახელით

(დასაწყისი 2 გვ.)

და და ჩანერილი იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუტუბანის თემში. სასამართლო შეტყობინება არც აღნიშნულ მისამართზე გაგზავნილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, როდესაც 25 ნოემბრის განჩინებით, დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი ერთთვიანი ვადის გაშვების გამო.

ვინაიდან, როლანდ ბლადაძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და ვერ ახერხებდა საკუთარი უფლების დაცვას, მისმა წარმომადგენელმა მიმართა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. წარმომადგენელი განცხადებაში უთითებდა, რომ როლანდ ბლადაძისთვის და არც მისი ოჯახისთვის, არ გაგზავნილა შეტყობინება, სადაც სხდომის გამართვის შესახებ იქნებოდა საუბარი. როლანდ ბლადაძის ინტერესები, არც ადვოკატს დაუცავს სხდომაზე, მაშინ, როდესაც, მინდობილობის საფუძველზე, სამოქალაქო მოსარჩელეებმა ამგვარ საქმეებზე გამოკუთრდნენ აჭარის ა/რ პროკურატურის პროკურორები. მხარის განცხადებით, არსებულმა გარემოებამ მხარეთა შეჯიბრითობის პრინციპი დარღვია. სწორედ ამ გარემოებების გამო, მხარე მოკლებული აღმოჩნდა შესაძლებლობას, სასამართლოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ იმ ქონების ძირითადი ნაწილი, რასაც როლანდ ბლადაძეს და მის ოჯახს ედავებოდნენ, არც არასოდეს ფლობდა როლანდ ბლადაძე და შესაბამისად, მისი ოჯახის წევრები, ხოლო მეორე ნაწილი — ავტომანქანები დიდი ხნის გასხვისებული იყო, ხოლო ქ. ბათუმში, ერას ქ. #37 — ში მდებარე ერთადერთი საცხოვრებელი ბინა #8, რომელშიც ცხოვრობდა როლანდ ბლადაძის მეუღლე და შვილები, შექმნილი იყო 1999 წელს, ნოტარიულად გაფორმებული 2000 წლის დასაწყისში ე.ი. იმ დრომდე (სადავო პერიოდი პროკურატურის სარჩელით 2001—2004) გაცილებით ადრე, ვიდრე ის თანამდებობის პირი გახდებოდა.

სასამართლომ როლანდ ბლადაძის წარმომადგენელთა სასარჩელო განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის განახლების თაობაზე დაუშვებლობის მოტივით განუხილველი დატოვა. აღნიშნულზე დავა სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა. შედეგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ახლად აღმოჩენილია ისეთი გარემოება, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებობდა, ოღონდ, ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე არ იყო ცნობილი და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ აღმოჩნდა, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გახდა მხარისათვის ცნობილი. სასამართლომ განმარტა, რომ სადაო ბინის 1999 წელს შექმნის და 2000 წელს გაფორმების ფაქტი მხარისათვის 2004 წლის 10 სექტემბრის, გადაწყვეტილების გამოტანამდე იყო ცნობილი. ამიტომ იგი არ ჩაითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, როლანდ ბლადაძე მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოცემული ინფორმაცია წარმოედგინა 2004 წელს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.

როგორ გადავიდა სხვისი ქონება გიორგი პაპუაშვილის ხელში

2007 წელს, სახელმწიფომ მის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება გადაწყვიტა. 2007 წლის 06 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის N285 განკარგულების მიხედვით, ძალაში შევიდა გადაწყვეტილება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორ-

მით პრივატიზაციის შესახებ“. უკანონოდ ჩამორთმეული და სახელმწიფოსათვის გადაცემული როლანდ ბლადაძის საცხოვრებელი ბინა მდებარე ქ. ბათუმში, ერას ქ. N37-ში, სიმბოლურ ფასად - 1000 ლარად გადაეცა, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს. როლანდ ბლადაძის კუთვნილ სახლში გიორგი პაპუაშვილი გადავიდა, რომელიც, 2015 წლის აპრილის მდგომარეობით, ცხოვრობს არძელის ქ. მავრამ ვერც 2013 წლის 13 აპრილის აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილების შემდეგ და ვერც მანამდე, გიორგი პაპუაშვილი, ვერ ჩაითვლება ბათუმში, ამჟამად გორგილაძის ქუჩა #37-ში არსებული უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად, კეთილსინდისიერ მესაკუთრედ, ვინაიდან 2007 წლამდეც, ვიდრე გიორგი პაპუაშვილს როლანდ ბლადაძის ქონება გადაეცემოდა და ვერც ახლა, როდესაც როლანდ ბლადაძემ საკუთარი უფლებები ნაწილობრივ აღიდგინა, სახლის ამჟამინდელი მფლობელისთვის - გიორგი პაპუაშვილისთვის ცნობილი ფაქტი გახლდათ უძრავი ქონების სადაოდ გახდომის ფაქტი, მისთვის ცნობილი იყო, ყველა იმ გარემოების შესახებ, თუ როგორ უკანონო ქმედებებით ჩამორთვა საცხოვრებელი ბინა მდებარე ქ. ბათუმში, ერას ქ. N37-ში მის კანონიერ მესაკუთრე როლანდ ბლადაძეს და უკანონოდ, ყოველგვარი ობიექტური დასაბუთების გარეშე, როგორ გადაეცა სახელმწიფოს.

როლანდ ბლადაძის ქონება გიორგი პაპუაშვილს გადაეცა 2007 წლის 16 ივნისს, მაგრამ ქონების სადაო საკითხის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ყველა პირისთვის, მათ შორის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის, რომელსაც როლანდ ბლადაძის ოჯახმა განცხადებით მიმართა 2007 წლის 11 მაისს. აღნიშნულ წერილობით ინფორმაციას მიმღები, რომ სახელმწიფოს სადაოდ გამხდარი ქონების გადაცემას გიორგი პაპუაშვილისთვის აპირებდა, რაც მოხდა კიდევ მოგვიანებით. საქმეში, აგრეთვე არსებობს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის 2007 წლის 18 ივნისის წერილი და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის 2007 წლის 20 ივნისის წერილი, რომლებიც საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებს მიუთითებდნენ, რომ როლანდ ბლადაძის ქონება წარმოადგენდა პრობლემურს, არსებობდა უკანონო მოქმედებების დაშვება და საკითხი უნდა შესწავლილიყო სრულფასოვნად, ვიდრე მიიღებოდა რაიმე სახის, შემდგომში განკარგვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, თუმცა სამუხაროდ, ასეთი ვითარების წინააღმდეგ, არც პრეზიდენტს და არც საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებს, არ მოუხდენიათ. 2014 წლის 9 დეკემბერს, მედია-კავშირ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში სტუმრად მყოფმა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ქ-ნმა ელენე თევდორაძემ დადასტურა, რომ როლანდ ბლადაძის ქონების განკარგვამდე, ის შეხვდა გიორგი პაპუაშვილს და უძრავი საკუთრების სადაოების შესახებ ინფორმაცია მიანოდა, თუმცა აქაც ჩანს, რომ გიორგი პაპუაშვილმა არც ეს მონოლოგი თუ შეხვედრება გაითვალისწინა. მან უკვე იცოდა, რომ ქონება ჩამორთმეულის სახლში გააგრძელებდა ცხოვრებას, ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოქმედებები და უკანონო გადაწყვეტილებები კი, მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა.

პროკურატურამ როლანდ ბლადაძე უღანაშაულოდ სწო

როლანდ ბლადაძის მიმართ წარმოებულ დავაში, ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენს 2013 წლის 12 აპრილს, აჭარის ა/რ პროკურატურის მიერ მიღე-



ბული დადგენილება, რომლის მიხედვითაც, როლანდ ბლადაძის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სასამართლოს კანონით გათვალისწინებული ქმედებების არარსებობის გამო. როლანდ ბლადაძე უღანაშაულოდ ცნეს ყველა იმ ბრალდებამ, რომლის ჩადენასაც ედავებოდნენ. აღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ 2004 წელს როლანდ ბლადაძეს უკანონოდ ჩამორთვეს საცხოვრებელი ბინა (მდებარე ქ. ბათუმში, ერას ქ. N37), ვინაიდან ის დანაშაული, რომლის ჩადენასაც პროკურატურა ედავებოდა და რის გამოც მოთხოვნილი იქნა როლანდ ბლადაძის საკუთრებაში არსებული ქონების უკანონოდ, დაუსაბუთებლად ცნობა, ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა, არ არსებობს და არც არსებობდა, როლანდ ბლადაძეს დანაშაული არ ჩაუდგენია, აღნიშნული გარემოება კი წარმოადგენს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების (რომლის მიხედვითაც, როლანდ ბლადაძის ქონება დაუსაბუთებლად, უკანონოდ ცნეს, ჩამორთვეს და გადაეცა სახელმწიფოს) გაუქმების საფუძველს.

ახალი სამართლებრივი რიზი

ვინაიდან 2013 წლის 12 აპრილს, აჭარის ა/რ პროკურატურის მიერ მიღებული იქნა დადგენილება, როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველმა, მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნით.

2013 წლის 23 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, აღნიშნული განცხადება არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადის შემდეგ. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის განჩინებით დადგენილად იყო მიჩნეული, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გავიდა 2004 წლის 11 ნოემბერს. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში იყო 2004 წლის 12 ნოემბრიდან, განცხადების მიერ კი განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარ-

მოების განახლების თაობაზე სასამართლოში წარმოდგენილი იქნა 2013 წლი 17 მაისს, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 8 წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ. აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველის არსებობის მიუხედავადაც კი, გამოირიცხავს საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, ა/რ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ კვლევა გამოაქვეყნეს, აქტუალური გახდა ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობის დროს, ხანდაზმულობის ვადების გაგრძელების საკითხი. ბუნებრივია, როლანდ ბლადაძის შემთხვევა, ერთი კონკრეტული ფაქტი არ იქნება, რა დროსაც, დაზარალებულები, 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადების პირობებში, 2012 წლის 1 ოქტომბრის ცვლილებების შემდგომ, ვერ ახერხებენ დაკარგულ/წართმეულ საკუთრებებთან მიმართებით სამართლიანობის აღდგენას, კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას. სწორედ გაზრდილი ხანდაზმულობის ვადები წარმოადგენს, მათ შორის როლანდ ბლადაძის საქმესთან მიმართებით, კანონიერი ინტერესების დაცვაყოფილების მნიშვნელოვან შესაძლებლობას. 2014 წლის 23 ივნისს, საკანონმდებლო ხარვეზის მიმართ მუშაობის დადგენის მიზნით, ჩვენ წერილობითი მიმართვა გავუგზავნეთ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს. ამასთან, საკითხის მიმართ საქმის კურსს ჩავაყენეთ საქართველოს პარლამენტის სხვა წევრებშიც. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2014 წლის 10 ოქტომბრის წერილით, „კომიტეტი აქტიურად მუშაობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის დახვეწის მიზნით, რაც უახლოეს მომავალში საკანონმდებლო ინიციატივაში აისახება“. 2014 წლის აპრილის მდგომარეობით, პარლამენტს ასეთი საკანონმდებლო ინიციატივა არ შემოუთავაზებია, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე შესატყვისი გადაწყვეტილების მიღებას.

მიგვაჩნია, რომ როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვა, ქართული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ვალდებულებაა და ამ მიმართულებით, არსებობს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის და გადაწყვეტილებების მიღების იურიდიულის საფუძველები. ამჟამად, როლანდ ბლადაძის საქმეს საქართველოს მთავარი პროკურატურის შემადგენლობაში შექმნილი სპეციალური დეპარტამენტი განიხილავს. საქმეზე გრძელდება სხვა სამართლებრივი მოქმედებები.

პროკურატურაში, საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლოს თავმჯდომარის ბიორგანიზაციის მიხედვით, გააძლიერა მიმდინარეობის



ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავარ პროკურატურას მოუწოდებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიმართ, 2013 წლის 5 ივლისს დაწყებული გამოძიება დააჩქაროს და კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპების მაღალი სტანდარტით, საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე, რომელიც გიორგი პაპუაშვილის მხრიდან თაღლითური გზით, ქალაქ ბათუმში, კერძო საკუთრების მიტაცებას ეხება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის, ასევე როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველის, ნანა წულაძის განცხადებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 11 თებერვლის წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგამოძიებო ნაწილში, გიორგი პაპუაშვი-

ლის ქმედების მიმართ, მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეს თაღლითობის ნიშნებით. საქმე ეხება აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის შემთხვევას, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის განკარგულებით, საცხოვრებელი სახლი ჩამოერთვა და სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს გადაეცა, ხოლო გიორგი პაპუაშვილმა, საკუთრივ, 2010 წელს, როლანდ ბლადაძის მფლობელობაში არსებული ავტოფარეხი მიი-საკუთრა, რომელიც არც ჩამოსართმევი ქონების ნუსხაში იყო მოქცეული და არც 2004 წლის 14 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით არის ჩამორთმეული.

ორგანიზაცია საზოგადოებისთვის ცნობილს ხდის გიორგი პაპუაშვილის მხრიდან როლანდ ბლადაძის მიმართ დაშვებული კიდევ

ერთი კანონშეუსაბამო ქმედების ფაქტს. 2010 წლის მარტში განხორციელებული ქმედებით, გიორგი პაპუაშვილს საკუთრების უფლება წარმოეწერა როლანდ ბლადაძის მფლობელობაში არსებულ ავტოფარეხზე, რომლის ვასებისეზაც, არც 2007 წლის სახელმწიფოსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით და არც სხვა იურიდიული დოკუმენტაციით, დადასტურებული არ იყო. საქმეში არსებული მასალებით მტკიცდება, რომ 2009 წლის 18 დეკემბერს გაიმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრება, რომელმაც დღის წესრიგით განიხილა ერთადერთი საკითხი - გიორგი პაპუაშვილისთვის დამხარე ნაგებობების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. საერთო კრების გადაწყვეტილებით, მომზადდა მიმართვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რათა გიორგი პაპუაშვილის საკუთრებაში აღრიცხულიყო ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა №37-ში მდებარე დამხარე ნაგებობა - სამეურნეო სათავსო და ვარაჯი, 35,63 კვ.მ. ფართობით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ იყო უფლებამოსილი, განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება გიორგი პაპუაშვილისთვის ავტოფარეხის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. მეტიც, ავტოფარეხი არ წარმოადგენდა საერთო საკუთრებას. 2000 წლის 11 სექტემბრის ქ. ბათუმის მერიის ტექნიკური კომისიის ოქმის გადაწყვეტილებით, ავტოფარეხი გატარდა როლანდ ბლადაძის მფლობელობაში. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტით, მხოლოდ როლანდ ბლადაძე ითვლებოდა მის მართლზომიერ მფლობელად. ამიტომაც, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა უფლებამოსილი არ იყო, განეხილა ავტოფარეხის გიორგი პაპუაშვილისთვის მიკუთვნების საკითხი, თუმცა დოკუმენტებით

ჩანს, რომ აღნიშნული მოქმედებებით, სახელმწიფომ როლანდ ბლადაძის მიმართ, მორიგი უკანონო მოქმედება განახორციელა.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს იმ ფაქტსაც, რომ საქმეში არსებობს ამხანაგობის თავმჯდომარის ჩვენება. კერძოდ, მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ ავტოფარეხი როლანდ ბლადაძის საკუთრება იყო, იგი გიორგი პაპუაშვილის დაცვის უფროსმა მიიყვანა მაშინდელ გამგებელთან, სადაც გამზადებული დახვდა ოქმი ავტოფარეხის გიორგი პაპუაშვილისთვის გადაცემის შესახებ. ამხანაგობის თავმჯდომარეს, ზემოქმედების ქვეშ მოუხდა ოქმზე ხელის მოწერა და აღნიშნული ხელმოწერა დადასტურდა ნოტარიუსის მიერ. ამასთან, ირკვევა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს არქივში აღარ მოიპოვება ავტოფარეხზე როლანდ ბლადაძის საკუთრების უფლებადამდგენი დოკუმენტები. ამჟამად გვხვდება მხოლოდ შემდეგი ჩანაწერი: „აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარდა ერას ქუჩა №37-ში მდებარე რ. ბლადაძის ავტოფარეხი, რომელიც საარქივო მასალებში არ ინახება“, რაც ცალკე დანაშაულის ნიშნებს ატარებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შევნიშნავთ, რომ ქ. ბათუმში, 2012 წელს, ერას ქუჩა №37-ში განხორციელდა ავტოფარეხებისა და დამხარე სათავსოების დემონტაჟი. მათ შორის მოექცა გიორგი პაპუაშვილის სახელზე გაფორმებული ავტოფარეხიც. როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველებმა, 2013 წლის ივნისში, შეძლეს ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურიდან ოფიციალური დოკუმენტის მიღება, რომლის მიხედვითაც დემონტირებული ავტოფარეხის სანაცვლოდ, გიორგი პაპუაშვილმა კომპენსაციის სახით მოითხოვა და მიიღო 3565 ლარი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საზოგადოების შეხლოებაში შეყვანაში აღნაშენებს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის განცხადებას ეხმაურება და გიორგი პაპუაშვილს მოუწოდებს, პატივი სცეს საზოგადოების უფლებას, ობიექტური და პირუთენელი ინფორმაცია მიიღოს მასთან დაკავშირებული ცალკეული სამართლებრივი მოქმედებების მიმდინარეობის თაობაზე. მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ 2015 წლის 16 მარტს სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას გააცნო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიმართ აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარე გამოძიების ფაქტი, სასამართლოს პრეს-მდივანმა, მინიკო ბერიძემ აჭარის ტელევიზიასთან შეფასებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით, განაცხადა, რომ „მათ მიერ აჭარის პროკურატურისგან გამოთხოვილ დოკუმენტში არსად არ ფიგურირებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ თაღლითობის მუხლით არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რაც მიზანმიმართულად ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციაა. მიგვაჩნია, რომ დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მარტივად შეეძლოთ ტელევიზიებს გადაემოწმებინათ, რათა მცდარი ინფორმაცია არ მიენდობინათ მასურებლისთვის. სასამართლოს თავმჯდომარეს დღემდე არც პროკურატურიდან და არც რომელიმე სხვა უწყებიდან არ მოსულია რაიმე დოკუმენტი მის მიმართ გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. სამწუხაროა, რომ მოხდა ფაქტების დამახინჯება, რაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სრული პასუხისმგებლობით მიმართავს საზოგადოებას, წარუდგენს აჭარის საგამოძიებო ნაწილში სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის მიმართ მიმდინარე გამოძიების დამადასტურებელ დოკუმენტებს და განმარტავს რამდენიმე გარემოებას - გიორგი პაპუაშვილის მიმართ აჭარის ა/რ საგამოძიებო ნაწილში, თაღლითობის მუხლით მიმდინარე გამოძიება დადასტურებულია საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 11 თებერვლის №13/8093 წერილით. გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა 2013 წლის 25 ივნისის საჩივარი. საქმე ეხება, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის სახლში გიორგი პაპუაშვილის გადასვლის შემდგომ, სასამართლოს თავმჯდომარის

მიერ როლანდ ბლადაძის საკუთრებაში არსებული კიდევ ერთი უძრავი ქონების - ავტოფარეხის მისაკუთრების ფაქტს, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი საქმეში არსებული მასალებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეს-სპიკერი მინიკო ბერიძე თავად ახდენს ფაქტების არსებით დამახინჯებას და სახელზე გვაქვს სამართლებრივი პროცესის მიმართ არაკომპეტენტური დამოკიდებულება. სასამართლოს პრეს-სპიკერი, როდესაც ამბობს, რომ „აჭარის პროკურატურისგან გამოთხოვილ დოკუმენტში არსად არ ფიგურირებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ თაღლითობის მუხლით არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე“, შევეცდებით განვმარტოთ შემდეგი - საგამოძიებო ორგანოს მხრიდან პიროვნების მიმართ სისხლისამართლებრივი საქმის აღძვრა მას შემდგომ იწყება, როდესაც პირის მიმართ გამოდის ბრალდება დადგენილება. ამჟამად აჭარის ა/რ საგამოძიებო ნაწილში, ავტოფარეხის მისაკუთრების ფაქტზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, რომლის შემდგომაც, პროცესუალურად უნდა დადგეს საქმეში მონაწილე პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ვინაიდან ყველა დოკუმენტით მტკიცდება, რომ გიორგი პაპუაშვილმა როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხი მისაკუთრა, კორპუსის ამხანაგობის ოქმები მომზადდა ზენოლის ქვეშ, საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში წაიშალა ავტოფარეხის კანონიერი მესაკუთრის, როლანდ ბლადაძის უფლების დამადასტურებელი ჩანაწერი, ხოლო მოგვიანებით ავტოფარეხის დემონტაჟის შედეგად, გიორგი პაპუაშვილმა ბათუმის მერიისგან მიიღო შესაბამისი კომპენსაცია, გვაფიქრებინებს, რომ გამოძიება მივა დასკვანდე, ამ საქმეში გიორგი პაპუაშვილის ბრალეული ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მოუწოდებს სრულად გაეცნოს სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის მიმართ არსებულ სამართლებრივ კითხვებს, როლანდ ბლადაძის საქმესთან მიმართებით არსებულ დოკუმენტაციას და სასამართლოს თავმჯდომარის იმიჯის შენარჩუნების ნაცვლად, საზოგადოებას მიენდოს მხოლოდ სიმართლე, რადგანაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ანგარიშვალდებულია დაიცვას კანონიერება და პასუხობდეს საზოგადოების მაღალ ინტერესს.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეს-სამსახური

საკონტაქტო პირი: მინიკო ბერიძე

საკონტაქტო დეტალები:
ტელ.: 577405858
ელ.ფოსტა: m.beridze@constcourt.ge

საკონტაქტო პირი: ზვიად სირაზიძე

საკონტაქტო დეტალები:
ტელ.: 595225526
ელ.ფოსტა: zsirabidze@constcourt.ge

საქართველო, ბათუმი, მ.აბაშიძის ქ. #16-18
13/03/2015

განცხადება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადვოკატურადა ქ. ბათუმის განსახლების შემდგომ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, 2007 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოქმედ მოსამართლეს (ასევე შემდგომ პერიოდში გამწვანებულ მოსამართლეებს), კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო მიერ პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი. შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები, ისევე როგორც მსგავს მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი სხვა პირი, არის აღნიშნული ქონების კეთილსინდისიერი მესაკუთრე. მათ, საჯარო რეესტრის მონაცემებით, კანონიერი მესაკუთრეობა - სახელმწიფოსგან, მიიღეს უფლებრივად უნაკლო ქონება, რაც ასევე დასტურდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 17 თებერვლის 19078 წერილით და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 იანვრის 4/1149 წერილით. ამდენად, ცხადია, რომ 2007 წელს არ არსებობდა მოსამართლეების მხრიდან დასახლებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის კანონიერებაში კვების შეტანის საფუძველი.

აღნიშნული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა მოხდა 2004 წელს, მაშინ როდესაც მოსამართლეო (მათ შორის თავმჯდომარის) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებად არჩევა განხორციელდა 2006 წლის ივნისში, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ქ. ბათუმში გადატანა და მოსამართლეებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2007 წლის ივნისში.

სწორედ ამიტომ, ზოგიერთი პირისა თუ პოლიტიკური ჯგუფის მიერ ამ თემაზე სპეკულირება, განხორციელებული დეზინფორმაციული კამპანია და ცილისმწამებლური განცხადებები ქმსახურება არა კონკრეტულ მოქალაქეთა უფლებებზე ზრუნვას და მათ დაცვას, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მთლიანად სასამართლოს დისკრედიტაციას, რაც პოშიდლება შეფასდეს საკონსტიტუციო სასამართლოზე ზეწოლის განხორციელების მცდელობად.

12 პასუხგაუხეველი კითხვა გიორგი პაპუაშვილს და ღუილი, როგორც ოქროს პარისის

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი, უპასუხოდ ტოვებს 12 საჯარო შეკითხვას, რომელიც აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, უკანონოდ ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრობის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებების საკითხებს ეხება. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ჯერ კიდევ 2013 წლის ივნისში მიმართეს. ორგანიზაციის მხრიდან დასმული საკითხები ეხებოდა როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებულ შემდეგ გარემოებებს:

1. გაგაჩნდათ თუ არა ინფორმაცია როლანდ ბლადაძის შესახებ, კერძოდ, იმ ბრალდებისა და საჯაროდ დანაშაულის შესახებ, რომელსაც მას სახელმწიფო ბრალდების მხარე ემართებოდა? რა ინფორმაციას ფლობდით იმ უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრის შესახებ, რომელიც პრეზიდენტის განკარგულებაში იქნებოდა?
2. როგორია თქვენი პოზიცია — მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილება როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დგას თუ არა თქვენს წინაშე სამართლებრივი დილემის საკითხი — რამდენად მართლზომიერია ფლობდით და ცხოვრობდით საკუთრებაში, რომლის ყოფილ კეთილსინდისიერ მხარეს გაქარწყლებული აქვს პოლიტიკური ნიშნით წაყენებული ბრალდება?
3. როგორია თქვენი დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრების მიმართ, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მხრიდან ჩამორთმეული ქონების მიღებაზე? თუკი თქვენი კოლეგები, მაღალი პროფესიული ბიოგრაფიით გამოჩენილი მოსამართლეები უარს ამბობენ ჩამორთმეული ქონების ფლობაზე, რამდენად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება — ცხოვრობდეს როლანდ ბლადაძის ყოფილ საკუთრებაში, რომელსაც დღეს არავითარი ბრალდება არ დაუბრუნებია?
4. როგორ ფიქრობთ, როლანდ ბლადაძის მიმართ, აჭარის 2004 წლის რევოლუციის შემდგომ, ჰქონდა თუ არა

ადგილი შეჩვეული მართლმსჯელებას. მოხდა თუ არა პოლიტიკური ნიშნით მის მიმართ დევნა, როგორც აჭარის ყოფილი მეთაურის გუნდის წევრისა და 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ახალი ხელისუფლებისთვის მიუღებელი კადრის მიმართ? სხვა შემთხვევაში, რით ახსნით, აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილებას, როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ?

5. როგორ ფიქრობთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ, როლანდ ბლადაძის საქმეზე გაჩენილი კითხვები, რომელიც თქვენ სადაოდ გამხდარ უძრავ ქონებასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ, იქონიებს თუ არა გავლენას მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებლობის ხარისხზე? არსებული ისტორია, რამდენად კავშირშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სანდოობასთან და მიუკერძოებლობასთან, რამდენად თქვენ ბრძანდებით საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი პირი.

6. როგორია თქვენი პოზიცია, როლანდ ბლადაძის საქმეში არსებულ კიდევ ერთ გარემოებასთან დაკავშირებით, რომლის მხარეც თქვენ ბრძანდებით. კერძოდ, რამდენად კანონიერად მოხდა როლანდ ბლადაძის კუთვნილი დამხმარე ნაგებობების მისაკუთრება, კერძოდ, სამეურნეო სათავსო, ავტოფარეხი ფართი 36,63 კვ.მ. და სადარბაზოს 13,0 კვ.მ-სა და მანსარდაზე მიშენებული 59,31 კვ.მ. - სულ - 62,31 კვ.მ?

7. როგორ აფასებთ, რამდენად კანონიერი და მართლზომიერი მოქმედება განახორციელეთ, როდესაც თქვენს საკუთრებაში აღმოჩნდა როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხი, როდესაც უძრავი ქონება როლანდ ბლადაძის საკუთრებაში ირიცხებოდა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ავტოფარეხის ჩამორთმევა არ მომხდარა. სასამართლოს არც ერთ გადაწყვეტილებაში ავტოფარეხის ჩამორთმევა ნახსენებია არ არის.

8. თქვენ ბრძანდებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც კანონი და უფლე-



ბამოსილება მაღალ პასუხისმგებლობას და სტანდარტს აკისრებს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია თქვენი ხედავა და პოზიცია — როგორ აფასებთ 2003—2012 წლების ხელისუფლების საქმიანობის პერიოდში, მოქალაქეებისთვის, საქმიანი სფეროს წარმომადგენლებისთვის და სხვადასხვა ჯგუფებისთვის, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს?

9. როგორ აფასებთ, სახელმწიფოს მხრიდან სიმბოლურ ფასად ქონების გადაცემის პრაქტიკას?

10. როგორ აფასებთ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის ინიციატივას, რომელიც, ერთი მხარეებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო?

11. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მაღალი რანგის სამართლის სპეციალისტი, როგორ აფასებთ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით? კერძოდ, გადაწყვეტილებებს, რომლის მხარეც თქვენ ხართ ჩართული?

12. როგორც საქართველოს სასამართლოს თავმჯდომარე და სამართლის სპეციალისტი, როგორ ფიქრობთ, რა ფორმით უნდა აღმოიფხვრას საკითხი და მოქალაქეებს დაუბრუნდეთ ქონება, რომლებსაც სახელმწიფომ უკანონოდ ჩამორთვა და სხვა პირებს გადასცა?

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ დასმულ კითხვებს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახური გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ დასმული საკითხების განხილვა, არ განეკუთვნება საქართველოს კანონ-

მდებლობით განსაზღვრულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას. კერძოდ, სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის, ლია ზაგაშვილის 2014 წლის 26 ივნისის №01/01-295 წერილში ნათქვამია: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 53-ე მუხლი 2006 წლის 7 სექტემბერს შეტანილი ცვლილებების შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფად განისაზღვრა ქ. ბათუმი. საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრს კანონმდებლობის, მათ შორის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ, პირდაპირი მიყიდვის წესით, გადაეცათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები ქ. ბათუმში. იქედან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ბინები ქ. ბათუმში გადაეცათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებითა და დადგენილი წესით, მათ მიიღეს საჯარო რეესტრის მონაცემებში რეგისტრირებული კანონიერი მესაკუთრის გან (სახელმწიფოსგან) უფლებრივად უნაკლო ქონება. ამასთანავე გაეცნობით, რომ თქვენ ქონება, ამასთანავე მული სხვა საკითხების განხილვა, არ განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას“. სასამართლოს ასეთი გამომხატურების მიუხედავად, გიორგი პაპუაშვილის კეთილსინდისიერების მიმართ კიდევ უფრო მეტი შეკითხვა ჩნდება, რომელიც „ახალგაზრდა ადვოკატების“ 12 პასუხგაუხეველი საკითხითაც დასტურდება.

გიორგი პაპუაშვილი „ქრონიკა+“ კითხვებს დაეხვალა

გაზეთი „ქრონიკა+“, როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, გიორგი პაპუაშვილის პოზიციით ინტერესდებოდა. მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ აჭარის ა/რ პროკურატურაში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების შესახებ განცხადება გააკეთეს, გაზეთი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის კომენტარით, კიდევ ერთხელ დაინტერესდა. როგორც გამოცემაში ვკითხულობთ: „პირველ კონსტიტუციონალისტთან დაკავშირება, პრაქტიკულად, შეუძლებელი აღმოჩნდა. ვესაუბრეთ გიორგი პაპუაშვილის ნიშნით აღჭურვილ პირს მედიასთან, ზვიად ცხორაძეს. ასევე, მის პრეს-სამსახურის მინიკო ბერიძეს. გაზეთს გიორგი პაპუაშვილთან დაკავშირებით ჰქონდა ორი კითხვა, რომელიც წერილობითი ფორმით გადაეგზავნა. მრავალდღიანი ლოდინის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ შემოგვავა პრეს-სამსახურის განცხადება, ხოლო გიორგი პაპუაშვილმა უპასუხოდ დატოვა „ქრონიკა+“-ის და არამარტო ჩვენი გაზეთის, ალბათ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის კითხვები. მიუხედავად გიორგი პაპუაშვილის არჩევანისა, გაზეთი მიიხვედრის სთავაზობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეს-სამსახურის განცხადებას, ასევე იმ კითხვებს, რომელიც უშუალოდ გაიგზავნა გიორგი პაპუაშვილთან და თვითდავე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი მიზანი არ გახლდათ საკითხზე პრეს-სამსახურის განცხადების მოსმენა, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე, მხოლოდ და მხოლოდ, ერთსა და იმავე პოზიციას იმორეგებს. დაესმინეთ იმასაც, რომ „ქრონიკა+“ მზად არის, გიორგი პაპუაშვილს ბათუმში შეხვდეს და ამ საკითხთან დაკავშირებით, თავისუფალი ინტერვიუ ჩაწეროს, თუკი ბატონი პაპუაშვილი მიიჩნევს, რომ არ ცხოვრობს ქონებაჩამორთმეულის სახლში, მართალია როლანდ ბლადაძის მიმართ და თუნდაც, 356 წელი არ აუღია იმ ავტოფარე-

ხის კომპენსაციიდან, რომელიც მერამ 2012 წელს დემონტაჟი გაუკეთა.

ახლა ვთავაზობთ, საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებას: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფლად ქ. ბათუმის განსაზღვრის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, 2007 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოქმედ მისამართულ (ასევე შემდგომ პერიოდში გამწესებულ მოსამართლეებს), კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი. შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები, ისევე როგორც მსგავს მდგომარეობაში მყოფი ნებისმიერი სხვა პირი, არის აღნიშნული ქონების კეთილსინდისიერი მესაკუთრე. მათ, საჯარო რეესტრის მონაცემებით, კანონიერი მესაკუთრისგან — სახელმწიფოსგან, მიიღეს უფლებრივად უნაკლო ქონება, რაც ასევე დასტურდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 17 თებერვლის N19078 წერილით და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 იანვრის N4/1149 წერილით. ამდენად, ცხადია, რომ 2007 წელს არ არსებობდა მოსამართლეების მხრიდან დასახელებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლის კანონიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი. აღნიშნული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა მოხდა 2004 წელს, მაშინ როდესაც მოსამართლეები (მათ შორის თავმჯდომარის) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებად არჩევა განხორცი-

ელდა 2006 წლის ივნისში, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ქ. ბათუმში გადატანა და მოსამართლეებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2007 წლის ივნისში. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი პირისა თუ პოლიტიკური ჯგუფის მიერ ამ თემით სპეკულირება, განხორციელებული დეზინფორმაციული კამპანია და ცილისმამბებლური განცხადებები ემსახურება არა კონკრეტულ მოქალაქეთა უფლებებზე ზრუნვას და მათ დაცვას, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მთლიანად სასამართლოს დისკრედიტაციას, რაც შეიძლება შეფასდეს საკონსტიტუციო სასამართლოზე ზეწოლის განხორციელების მცდელობად“ (სტილი დაცულია).

„ქრონიკა+“ ვკითხველს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიმართ გაგზავნილ კითხვებს სთავაზობს:

- ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, იმავდროულად საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას ოფიციალურად მიმართა, რათა სახელმწიფოს მხრიდან ქონებაჩამორთმეულთა საქმეების განხილვის პროცესში, პრიორიტეტული ხარისხი მიენიჭოს როლანდ ბლადაძის საქმეს, რომლის სახელმწიფო, 2015 წლის მარტის მდგომარეობით, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს. „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ გიორგი

პაპუაშვილი დღეს თავად იმყოფება კანონთან კონფლიქტში, რასაც ადასტურებს როლანდ ბლადაძის საქმეზე არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია სამინისტროს სთავაზობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ალტერნატიული ფართი შესთავაზოს, იკისროს მედიატორის როლი და როლანდ ბლადაძეს დაუბრუნდეს კუთვნილი ქონება. როგორია ამასთან დაკავშირებით, გიორგი პაპუაშვილის პოზიცია, მით უფრო, როდესაც საქმეს განსაკუთრებით რეზონანსული მნიშვნელობა მიენიჭა მას შემდეგ, რაც ამ საქმეზე კვლევას მოჰყვა ვენეციის კომისიის, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს გამოხმაურება?

- ამ საკითხთან დაკავშირებით, დღემდე რატომ სდუმს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?
- იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება შესთავაზებს ალტერნატიულ ბინას, რა პოზიციაა დაიკავებს?
- „ქრონიკა+“-ს წყაროს ინფორმაციით და როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს როლანდ ბლადაძის ყურამდევ არის მისული, თითქოს გიორგი პაპუაშვილი აპირებს ბინის გაყიდვას. ადასტურებს თუ არა ამას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?

„ქრონიკა+“ შენიშნავს, რომ სადაო ბინის საკითხთან დაკავშირებით, როდესაც კითხვები საკონსტიტუციო სასამართლოს პრეს-მდივან მინიკო ბერიძეს დაუსვა, მან გიორგი პაპუაშვილის შემონახული გადმოგვცა: „გაგვიყიდა თუ არა ბინა, ეს ჩემი პირადი საქმეა“. ვფიქრობთ, პაპუაშვილის სამართალი მკითხველისთვის ძალიან ნათელია.

„როლანდ ბლადაძის საქმე შეუქცეულია ნარკოტიკების გარეშე დასრულდა“

რას წერს არჩილ კაიკაციშვილი გიორგი პაპუაშვილს?

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა, 2015 წლის 18 მარტს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს ოფიციალური, ღია წერილით მიმართა.

გაცნობებით, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, გმართებ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რათა ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, თქვენი სახელით ანუ სასამართლოს ცალკეული პოზიციები, რომელიც შეთავაზებული იქნება საზოგადოებისთვის, არ იყოს მცდარი და არ ტოვებდეს სიყალბის ნიშნებს. საზოგადოება, ბუნებრივია ვერ გაერკვევა იმ დავის იურიდიულ ქრონოლოგიაში, რომელიც ცალკეული დოკუმენტებით არის მოწოდებული. საზოგადოებამ იცის მხოლოდ ის ფაქტი, რომ გიორგი პაპუაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, დღემდე ცხოვრობს ქონებაჩამორთმეულ როლანდ ბლადაძის სახლში. ამასთან, იცის დაცვის მხარის სტრატეგია და განცხადებები, რომელიც 2014 წლის ოქტომბრიდან სხვადასხვა ფორმით ხდება ცნობილი. სამწუხაროდ, თქვენ როლანდ ბლადაძის საქმეზე ინარჩუნებთ დუმილს. თქვენ არც ერთ ჩემს ოფიციალურ წერილობით განცხადებაზე საკუთარი დამოკიდებულება და პოზიცია არ გამოგიტყავთ. ამით, ბუნებრივია ცდილობთ, რომ მოახდინოთ იმის დემონსტრირება, თითქოსდა ჩამორთმეული ბინის ისტორიაში, თქვენი როლი გამორიცხვულია ან ცდილობთ არ ესაუბროთ როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველებს, რადგანაც თქვენი თანამდებობრივი სტატუსისთვის, თითქოსდა ასეთი დიალოგისთვის, შეუსაბამოა. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა იზარალებს თქვენს საქმეს, თქვენს იმიჯს და თქვენს პროფესიულ ღირსებას, აძლიერებს როლანდ ბლადაძის ინტერესებს და საინტერესო ხდის პროცესს საზოგადოებისთვის. როგორც წინა წერილებში აღვნიშნავდი, ახლაც იმავეს ვაგვიმორებ, რომ თქვენ მნიშვნელოვანდ ცდებით, როდესაც არაჯეროვანი მრჩევლების პირობებში, ოჯახის წევრთა გავლენით თუ კიდევ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, საქმეზე არ თვლით პირდაპირი კომუნიკაცია ანარმობით როლანდ ბლადაძისთან ანუ მის კანონიერ წარმომადგენელთან აღნიშნულ საქმეში. ამასთანავე, აჭარა საამისოდ პატარა რეგიონია, წყარომ ოფიციალურად დადასტურებს თქვენი განზრახვების თაობაზე. კერძოდ, გაქვთ სურვილი გაასხვისოთ როლანდ ბლადაძის კუთვნილი ბინა, რომელიც ახლა ცხოვრობთ და ამით გაექცეთ პასუხისმგებლობას, საკითხზე შექმნილ აუიოტაჟს, რომელიც შეუძლებელია ან ფორმალურად იცვალოს ან შეწყვეტოს. თქვენ შეიძლება მოახერხოთ და ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ რომელიმე აქტივობა ხელოვნურად დაბლოკოთ მასობრივ-საინფორმაციო გამოშვებებით, მაგალითად ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით, სადაც თქვენი ოჯახის წევრს, მეუღლის დას, ყურნალისტ ეკა ხოფერიას აზრს ითვალისწინებენ. ამიტომაც, ორგანიზაციის არც ერთი პრესკონფერენცია, ტელეკომპანია „იმედის“ არ გაუშუქებია. არხის ყურნალისტები სპეციალურად ესწრაფებიან ჩვენს ბრიფინგებს, რამდენჯერმე ბრიფინგის დაწყება გადაიდო იმის გამო, რომ ტ/კ „იმედის“ გადაამოწმა ჯგუფი იგვიანებდა და ჩვენც პატივი ვეცით ყურნალისტურ საქმიანობას, თუმცა არხის ეთერში თემა ვერ მოხვდა. სამაგიეროდ, გვაქვს მაღალი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ბრიფინგის მასალა თქვენ სრული სახით მოგწოდებოდათ. ინგა ვრიგოლიამ როლანდ ბლადაძისთან საუბრებში არაერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ მისი ქონების ჩამორთმევის საქმეს ვერ გააშუქებდა, რადგანაც „ეკა ხოფერიასთან ერთად, ყურნალისტურ სარბიულზე, ერთად ნლებია მოდიოდნენ“ (სტილი დაცულია). შესაბამისად, იმ გადაცემებშიც კი, სადაც ინგა ვრიგოლიას ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე მსჯელობა აქვს, არც მე და არც როლანდ ბლადაძის კიდევ ერთ ადვოკატს, ქ-ნ ნანა წულაძის არ ინვევენ. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას მაინც მიეწოდება აღნიშნული საქმის და დავის თაობაზე ის საკმარისი ინფორმაცია. ასევე, ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური დაინტერესებულია ცნობილი ახალი ამბების სააგენტოებთან კითხვებით, თუ რატომ ხდება ა/ო „ახალგაზრდა



ადვოკატების“ მიერ ვრცელი მედია-რელიეზის გაშუქება მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, თუმცა მინდა განვმარტოთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, არსებობს სახელმწიფოებო ურთიერთობები, რომელიც ცალკეულ ახალ ამბების სააგენტოებს, ვერ აიძულებს, ჩვენი აქტივობები არ გააშუქონ. ცხადია, თქვენი ინტერესები. შესაბამისად, მე მესხის ის გარემოებაც, რომ გასურთ თქვენს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ გაასხვისოს როლანდ ბლადაძის კუთვნილი ბინა, რაც თქვენს მიმართ, მინდა დაგარწმუნოთ, მიუხედავად რისკების შეიცავს. კითხვაზე, თუ „რამდენად პრინციპული იყო როლანდ ბლადაძის საქმე ჩემთვის?“ მეგონა, ამ კითხვაზე პასუხი თქვენს პრეს-მდივან მინიკო ბერიძეს მაშინ გაეცო, როდესაც დამირეკა და დააბრუნა, კვლევით: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ“ გამოცემის ხარჯები რომელ დონორ ორგანიზაციას ჰქონდა გადაუხდოდა. კიდევ ერთხელ შემიძლია ვაგვიმორი ის გარემოება, რომ ჩემთვის როლანდ ბლადაძის დაცვა პრინციპული მნიშვნელობის საკითხია და არა იმიტომ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილია შუაში თუ მხარე, არამედ მიმართა, რომ როლანდ ბლადაძის სამართლიანობის აღდგენის პროცესში, ჩემი სამოქალაქო და პროფესიული ვალდებულებაა, დავხმარა. როლანდ ბლადაძის ოჯახი ჩემთვის ახლობელია. ამიტომაც, ვიდრე თქვენი პრეს-მდივანი ახალ კითხვებს დასვამდეს, მინდა დავადასტუროთ, რომ ჩვენს შორის არ არსებობს სახელმწიფოებო ურთიერთობა, ჩემი და ჩემი ორგანიზაციის ჩართულობა ამ საქმის აქტიულობაში, არის უანგარო.

ჩემთვის გაუგებარი გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ერთი მხრივ 2015 წლის 13 მარტის პრეს-რელიზი, რომელიც გაზეთმა „ქრონიკა“-მა გამოაქვეყნა, მეორე მხრივ კი აჭარის ტელევიზიით, 2015 წლის 17 მარტს პრეს-მდივნის, მინიკო ბერიძის პოზიცია. დაიწყეთ პრეს-სამსახურის 13 მარტის განცხადების ზოგიერთი შეუსაბამო და მცდარი მოსაზრებები.

თქვენ ამბობთ, რომ ბინა საკუთრებაში გადმოგვართ სახელმწიფომ. რა თქმა უნდა, ფაქტი მართალია, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ თქვენ ვერასოდეს ჩაითვლებით სახელმწიფოსგან მიღებული ბინის კეთილსინდისიერ შემქნელად და მესაკუთრედ, რადგანაც როდესაც ქონება როლანდ ბლადაძის ჩამორთმევის შემთხვევაში იყო საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ყველა პირისთვის, მათ შორის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილისთვის, რომელსაც როლანდ ბლადაძის ოჯახმა განცხადებით მიმართა 2007 წლის 11 მაისს. აღნიშნულ წერილში ოჯახისთვის უკვე ცნობილია, რომ სახელმწიფო სადაოდ გამხდარი ქონების გადაცემას თქვენთვის აპირებდა, რაც მოხდა კიდევ მოგვიანებით. საქმეში, აგრეთვე არსებობს საქართვე-

ლოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის 2007 წლის 18 ივნისის წერილი და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის 2007 წლის 20 ივნისის წერილი, რომელიც ცალკეულ ახალ ამბების სააგენტოებს, ვერ აიძულებს, ჩვენი აქტივობები არ გააშუქონ. ცხადია, თქვენი ინტერესები. შესაბამისად, მე მესხის ის გარემოებაც, რომ გასურთ თქვენს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ გაასხვისოს როლანდ ბლადაძის კუთვნილი ბინა, რაც თქვენს მიმართ, მინდა დაგარწმუნოთ, მიუხედავად რისკების შეიცავს. კითხვაზე, თუ „რამდენად პრინციპული იყო როლანდ ბლადაძის საქმე ჩემთვის?“ მეგონა, ამ კითხვაზე პასუხი თქვენს პრეს-მდივან მინიკო ბერიძეს მაშინ გაეცო, როდესაც დამირეკა და დააბრუნა, კვლევით: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ“ გამოცემის ხარჯები რომელ დონორ ორგანიზაციას ჰქონდა გადაუხდოდა. კიდევ ერთხელ შემიძლია ვაგვიმორი ის გარემოება, რომ ჩემთვის როლანდ ბლადაძის დაცვა პრინციპული მნიშვნელობის საკითხია და არა იმიტომ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილია შუაში თუ მხარე, არამედ მიმართა, რომ როლანდ ბლადაძის სამართლიანობის აღდგენის პროცესში, ჩემი სამოქალაქო და პროფესიული ვალდებულებაა, დავხმარა. როლანდ ბლადაძის ოჯახი ჩემთვის ახლობელია. ამიტომაც, ვიდრე თქვენი პრეს-მდივანი ახალ კითხვებს დასვამდეს, მინდა დავადასტუროთ, რომ ჩვენს შორის არ არსებობს სახელმწიფოებო ურთიერთობა, ჩემი და ჩემი ორგანიზაციის ჩართულობა ამ საქმის აქტიულობაში, არის უანგარო.

გარდა ამისა, როდესაც ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ სახელით, 2015 წლის 15 მარტს ჩატარდა პრესკონფერენცია და გავრცელდა მედია-რელიზი, სახელწოდებით: „პროკურატურაში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის ქმედებაზე, გამოძიება მიმდინარეობს“, სასამართლოს თავმჯდომარის პრეს-მდივანმა აჭარის ტელევიზიასთან 2015 წლის 17 მარტს განმარტებაში, ორგანიზაციის და როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველთა მიმართ განაცხადა: „მათ მიერ აჭარის პროკურატურისგან გამოთხოვილ დოკუმენტებზე არსად არ ფიგურირებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ თაღლითობის მუხლით არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რაც მიზანმიმართულად ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციაა. მიგვაჩნია, რომ დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მარტივად შეეძლოთ ტელევიზიებს გადაემოწმებინათ, რათა მცდარი ინფორმაცია არ მიეწოდებინათ მაყურებლისთვის. სასამართლოს თავმჯდომარეს დღემდე არც პროკურატურიდან და არც რომელიმე სხვა უწყებდან არ მოსვლია რაიმე დოკუმენტი მის მიმართ გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. სამწუხაროა, რომ მოხდა ფაქტების დამახინჯება, რაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანას იწვევს“. ჩვენ ძალიან ვწუხვართ ამ კომენტარის გამო, რადგანაც თქვენი პრეს-მდივნის განცხადება, შეიძლება შეფასდეს, როგორც ღრმად არაკომპეტენტური. მინიკო ბერიძე, მარტივად, რომ ვთქვათ,

უნდა ერკვეოდეს, რას ნიშნავს „სავამოძიებო მოქმედებები“ და რას ნიშნავს „აჭარის პროკურატურისგან გამოთხოვილ დოკუმენტში არსად არ ფიგურირებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ თაღლითობის მუხლით არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე“. თქვენ, ჩემი აზრით, ქართული მართლმსჯელების წინაშე წარსდგებით, მაგრამ დღეს მინიკო ბერიძეს უნდა ესმოდეს, რომ ბრალდებულის სახით არ ხართ რომელიმე საქმეზე, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმე ვერ იქნება აღძრული. რაც შეეხება საავტორიზებო მოქმედებების მიმდინარეობას, მაინც გიგზვანით საქართველოს პროკურატურიდან მიღებულ წერილს, რათა შეძლოთ იდენტიფიცირება, აჭარის ა/რ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება, ნამდვილად უკავშირდება თუ არა როლანდ ბლადაძის ადვოკატის, ნანა წულაძის საჩივარს და როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტორიზაციის მისაკუთრების ფაქტს. შეგახსენებთ, როცა ეს ავტორიზაცია დაინგრა, თქვენ კომპენსაციის სახით 3566 ლარი მიიღეთ. ვიმედოვნებთ, რომ ამ ფაქტს არ უარყოფთ, მინიკო ბერიძისთვის კი, შესაბამისი დოკუმენტაცია არსებობს და საჭიროების შემთხვევაში, ელექტრონული ფორმითაც მივანვდი.

როლანდ ბლადაძის საქმე შეუძლებელია წარმატების გარეშე დასრულდეს. ჩვენ ამისთვის ყველაფერს ვაგაკეთებთ. თქვენ შეგიძლიათ გამოხვიდეთ და ყოველდღე უთხრათ საზოგადოებას, რომ „ზოგიერთი პირისა თუ პოლიტიკური ჯგუფის მიერ ამ თემით სპეკულირება, განხორციელებული დეზინფორმაციული კამპანია და ცილისწამებური განცხადებები ემსახურება არა კონკრეტულ მოქალაქეთა უფლებებზე ზრუნვას და მათ დაცვას, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მთლიანად სასამართლოს დისკრედიტაციას, რაც შეიძლება შეფასდეს საკონსტიტუციო სასამართლოზე ზეწოლის განხორციელების მცდელობად“.

მინდა გითხრათ, რომ ასეთი ტრაფარეტული მიდგომა არ გეკადრებათ. „ახალგაზრდა ადვოკატები“ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში ვმოქმედებთ, მათ შორის როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით. ამ თემით კი არ ვსპეკულირებთ, თუ ეს ჩვენს მიმართ იყო ნათქვამი, არამედ მოქალაქეებს ვეუბნებით იმ სიმართლეს, რომლისაც ვგვეჩერა. მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს, სადაც სასამართლო სისტემურ დანაშაულებებზე თვალს ხუჭავდა და საკონსტიტუციო სასამართლო დუმდა, ძალიან ბევრი ადამიანი იქცა მსხვერპლად. მისი უფლებები აღმოჩნდა ფეხქვეშ გათელილი. ჩვენ, ბატონო თავმჯდომარე, ის ორგანიზაცია ვართ, რომელიც ყოველდღიურად ასეთი ადამიანების საქმეებზე სარჩევებს ვწევთ და საერთო სასამართლოებში სიმართლეს ვეძებთ. ჩანს, მინიკო ბერიძეს, რომელიც თქვენი პრეს-მდივანია, „ახალგაზრდა ადვოკატების“ შესახებ, მისი სამოქალაქო აქტიურობების თაობაზე არაფერი გაუგია და არც უნდა იცოდეს. ის განცხადებას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როდესაც საკითხი ხელმძღვანელს, დამსაქმებელს, ანუ თქვენ ვეხებათ. ჩვენი მიზანი არ არის არც თქვენი და არც სასამართლოს დისკრედიტაცია. თქვენ ხომ როლანდ ბლადაძის საქმეში უდანაშაულო და ბოლიური გაგებით, კრავი ხართ?! ამიტომაც, ქალბატონმა პრეს-მდივანმა, მომავალში ყველა ტერმინს მიაქციოს პოსტსაკავშირისეულ პერიოდში ყურადღება, მაგალითად სიტყვებს: „სპეკულირება“ „დეზინფორმაცია“, „ცილისწამება“, „ზეწოლა“, „დისკრედიტაცია“, სხვა. ბოლოსდაბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავის ცალკეულ გადაწყვეტილებებში, საჯარო კრიტიკის მნიშვნელობა შესანიშნავად აქვს განმარტებული და ასეთი განმარტებითი ლექსიკონის მოხმობა ან კვალიფიციური პრეს-განცხადებების მომზადებისთვის, სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტრენინგის მომზადება, ურიგო იდეა არ იქნებოდა.

ბატონო თავმჯდომარე,
რადგანაც ძალიან ბევრი არასწორი ინფორმაცია ვრცელდება თქვენი მხრიდან, იძულებული ვართ, საზოგადოება სიცრუის ტირაჟირებაში არ დავეტოვოთ. რადგანაც გვიძლია თქვენ „იმედის“ ეთერსაც, რაღაც ისეთი უნდა მოვიფიქროთ, რომელიც როლანდ ბლადაძის საქმეზე, სიმართლეს ყველას ვაგვებინებს. ვნახოთ, ყველაფერი წინ არის.

„ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ქონებაჩაპოკოტოვოს საქმეებზე ჭეშმარიტი გადამწყვეტილება იქნეს მიღებული“

გაზეთ „ქრონიკა“-ში როლანდ ბლადაძის კომენტარი დაიბეჭდა, რომელიც წარმოადგენს პირველ შეფასებას მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2014 წლის ოქტომბერში, კვლევა წარმოადგინეს.

- ბატონო როლანდ, რა მოლოდინები გაქვთ თქვენს ქონებასთან დაკავშირებით, ხელისუფლება ქონება-ჩაპოკოტოვოს საქმეებზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისთვის ემზადება. როგორია თქვენი მოლოდინები?

- ვფიქრობ, ჩამორთმეული ქონებების დაბრუნება ყველაზე საპასუხისმგებლო პროცესია და 2012 წლის 1 ოქტომბერს მოგებული არჩევნების ტოლფასი მნიშვნელობის პროცესი იქნება. თქვენ ხედავთ ბიზნესმენებს თუ უბრალო ადამიანებს, რომლებმაც ქონება ნების საწინააღმდეგოდ ჩამოართვეს. როგორც ყველას, მათ შორის მეც მაქვს კანონიერი ნდობა ამ პროცესის მიმართ და მიმაჩნია, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე ჭეშმარიტი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული. ამ მიმართულებით, მეც შესაბამისი მოლოდინები გამაჩნია.

- რას იტყვით გიორგი პაპუაშვილზე. გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ წართმეულ საკუთრებას დათმობს და წართმეულ ბინას დაიბრუნებთ?

- მე მაქვს სამართლიანობის აღდგენის იმედი და ჩამორთმეული ქონების შემდეგ, ერთი დღეც არ გასულა, ქონების დაბრუნებისთვის, სამართლებრივი მოქმედებები არ გაგვეზოროს. ჩვენ დღესაც სამართალწარმოების პროცესში ვართ. გიორგი პაპუაშვილზე, ამჟამად არაფერს ვიტყვი. საზოგადოებამ შეაფასოს. მე ჩემი ოქონების დაბრუნებისთვის ყველა შესაძლებლობას და სამართლებრივ საშუალებას მივმართავ.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი პაპუაშვილი თქვენს სახლს ყიდის. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს?

- პაპუაშვილის მხრიდან ჩემი ბინის გაყიდვის ამბავი, ჩემთვისაც ცნობილია. ინფორმაციის ნამდვილობაზე ჩემი ადვოკატები მუშაობენ. ერთი რამ ცხადია - თუკი ბინას მყიდველი გამოუჩნდება, მან უნდა იცოდეს, რომ საკუთრება არის სადაო და შეუძლებელია, ვინმე ასეთ რისკზე წავიდეს. თუკი ასეთი რამ მაინც განხორციელდა, შეიძლება საქმე ყველა მხარისთვის რთული გახდეს. ამ პასუხისმგებლობას, უწინარეს ყოვლისა, საკონსტიტუციო სა-

სამართლოს თავმჯდომარე უნდა გრძნობდეს.

- გაქვთ თუ არა არაოფიციალური კონტაქტები საქართველოს ხელისუფლებასთან. თქვენმა ადვოკატებმა ცნობილი გახადეს, რომ პაპუაშვილის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება თქვენი ავტოფარების მითაცების ფაქტზე. რას აპირებთ, ადვოკატები საკმაოდ სიტყვაძუნია მედიასთან, მაშინ, როდესაც ეს საქმე მართლა რეზონანსულია? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს საქმე პაპუაშვილის წინააღმდეგ ხელისუფლებისთვის კარგი საშუალებაა?

- არა, არავითარი არაოფიციალური თუ ოფიციალური კონტაქტი ხელისუფლებასთან არ გამაჩნია. ეს არ იქნებოდა სწორი. სწორედ ამ ხელისუფლების პირობებში მივალე იმას, რომ სამართლიანობის აღდგენა, ნაწილობრივ მომხდარიყო ჩემს საქმეზე. პაპუაშვილთან არავითარი პიროვნული შეუთავსებლობა არ გამაჩნია. ჩემს საქმეში მომხდარია უამრავი კანონდარღვევა და ყველაფერი ზედაპირზეა, ყველაფერი დოკუმენტურად მტკიცდება.



მე ვფიქრობ, ეს საქმე ვინმეს წინააღმდეგ კი არ იქნება შესწავლილი, არამედ კანონის უზენაესობის დაცვით იქნება ყველა გადაწყვეტილება მიღებული. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სახელმწიფოს გიორგი პაპუაშვილისთვის კლბერსაბიუჯეტის უთავაზავის წინააღმდეგობით მიმართავენ



ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, გიორგი კვიციანიძეს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანასა და საქართველოს მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს მიმართავს, რათა სახელმწიფოს მხრიდან ქონებაჩამორთმეულთა საქმეების განხილვის პროცესში, პრიორიტეტული ხარისხი მიენიჭოს როლანდ ბლადაძის საქმეს, რომლის სახლშიც, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობის შესაბამისმა სამინისტროებმა და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაბედული ნაბიჯი უნდა გადადგან, რათა საქმეზე სა-

მართლიანი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული და ქონების რეალურ ფლობელს, წართმეული საკუთრება დაუბრუნდეს. ორგანიზაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან აქტიური მოქმედებების განხორციელებას მოითხოვს, რა დროსაც, შესაძლებელი გახდება, როლანდ ბლადაძემ გიორგი პაპუაშვილისგან კუთვნილი ქონება დაიბრუნოს. არჩილ კაიკაციშვილი გიორგი კვიციანიძეს მიმართავს, სამინისტრომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის ალტერნატიული ფართი შესთავაზოს, იკისროს მედიატორის როლი და როლანდ ბლადაძეს დაუბრუნდეს კუთვნილი ქონება. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ, სამინისტროს მედიაციის ასეთი პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია, თუმცა ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სამართლიანობის აღდგენის პროცესის მხარდა-

ჭერაში, სამინისტროს კონკრეტული ინიციატივები არ გააჩნია.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, ასევე მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანას და რეზონანსულ საქმესთან დაკავშირებით, სამინისტროს დახმარებას და პასუხისმგებლობის გაზიარებას სთხოვს. არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, ეროვნული დონის სასამართლოების ამოწურვის შემდგომ, როლანდ ბლადაძის საქმე, შესაძლებელია გაგზავნილი იქნეს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში, სადაც მხარე საქართველოს სახელმწიფოს სახით, იუსტიციის სამინისტროსა. საქართველოს მიმართ მორიგი საჩივარი და საქმის მოგების ალბათობა, მათ შორის, კვლავ ფინანსურ ვალდებულებად დაეკისრება საქართველოს, რაც არც მოსარჩელის დღევანდელ ინტერესებს პასუხობს და არც როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველთა პოზიციას. შესაბამისად, ორგანიზაცია მიმართავს იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროებს, ერთობლივი ძალისხმევით, დაიწყოს საქმეზე მორიგების ინსტიტუტის ამოქმედება, გიორგი პაპუაშვილისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზება, წინა ხელისუფლების დროს დაშვებული სამართლებრივი შეცდომების აღმოფხვრა და როლანდ ბლადაძის მიმართ კუთვნილი ქონების დაბრუნება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, აგრეთვე მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა სათანადო ყურადღება დაუთმოს როლანდ ბლადაძისთვის ქონების ჩამორთმევის საქმეს და წარდგინილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ობიექტურად შეფასდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიერ ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრების კეთილსინდისიერების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში, მის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, 2015 წლის 5 მარტს, მედიის კითხ-

ვებსაც უპასუხა, რომელიც შეეხებოდა ქონებაჩამორთმეულ, აჭარის ყოფილი მთავრობის მაღალი თანამდებობის პირის, როლანდ ბლადაძის სახლში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის ცხოვრების ფაქტს.

არჩილ კაიკაციშვილის თქმით, მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორმა საზოგადოების მოლოდინების ჩამოყალიბების პროცესში, ფრთხილი როლი აირჩიოს, რადგანაც არ დაზარალებს სამართლიანობის აღდგენის მხარდაჭერა და სახელმწიფოს მიეცეს ქონებაჩამორთმეულთა და ნამების მსხვერპლთა მიმართ, სწორი სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობა. მისივე თქმით, ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა შეხედულებები, თითქოსდა არსებობს კითხვები სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გამჭვირვალობასთან მიმართებით, რადგანაც ცნობილი არ არის შემდგომი საქმიანობის პრინციპები, არ არის ობიექტური შეფასება. „არასამთავრობო სექტორი სახელმწიფო ბრალდებას ვერ უკარნახებს იმ ფორმას, თუ როგორ უნდა გამოიძიოს უმძიმესი, სისტემური დანაშაულებები. ასეთი პრეროგატივა სახელმწიფოს შესაბამის უნყებებს გააჩნიათ. სამოქალაქო სექტორი ვალდებულია, პროცესის მონიტორინგი და რეკომენდაციები ცალკეულ მოქმედებებთან მიმართებით. ბუნებრივია, ამ მიმართულებით ჩვენი ძალისხმევა აუცილებელია. ზოგიერთი ლიფერი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადებებმა გამიჩინა განცდა, რომ ისინი სწუხან, პროკურატურამ ან მთავრობა, რატომ არ შეუთანხმდა დეპარტამენტის საქმიანობის შემდგომ სტრატეგიას. ჩვენ ალბათ უნდა ვიპოვოთ სათანამშრომლო ველი, მაგრამ არა ურთიერთჩარევის სანაცვლოდ. ვნახოთ, რა ჩარჩო ექნება დეპარტამენტის საქმიანობას და რა ფორმას მიიღებს სამართლიანობის აღდგენის გარდაუვალი ეტაპი საქართველოში“ - განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

პრეზიდენტმა ექსპრეზიდენტის განაკრებულის ნაწილობრივ გათილოებაზე უარი თქვა



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განუხილველი დატოვა ადმინისტრაციული საჩივარი პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ, რომლითაც მოთხოვნილ იქნა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ 2007 წლის 6 ივნისის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილს ქალაქ ბათუმში, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის კუთვნილი ბინა გადაეცა.

როლანდ ბლადაძის კანინიერი ინტერესების დამცველთა 2015 წლის 4 მარტის ადმინისტრაციულ საჩივარში, მოთხოვნა შემდეგი სახით იქნა დასაბუთებული: „მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, თავისი კანონისმიერი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, უნდა გამოსცეს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და ნაწილობრივ ბათილად სცნოს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცემული 2007 წლის 6 ივნისის №285 განკარგულების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს გადაეცა როლანდ ბლადაძის ქონება ქ. ბათუმში, ერასი N37, ბინა N8. ამის სამართლებრივი საფუძველი, როლანდ ბლადაძის საქმეში, უკვე არსებობს 2013 წლის 12 აპრილის აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილების სახით. შესაბამისად, დადგება იურიდიული შედეგი, როდესაც სახელმწიფო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, უფლებამოსილი იქ-

ნება, კანონის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს შესთავაზოს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, ხოლო ბინა ქ. ბათუმში, ერასი ქუჩა №37-ში მდებარე, დაუბრუნდეს ქონების კანონიერ მესაკუთრე როლანდ ბლადაძეს. პრეზიდენტის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი გააჩენს შესაძლებლობას, სამართლიანობის აღდგენის, გნებავთ კანონის უზენაესობის დამკვიდრების პროცესში, ქონებაჩამორთმეული საქმეებზე, მნიშვნელოვანი პრეცედენტი შეიქმნას. გიორგი პაპუაშვილი, ნინაალმდეგი არ არის, სადაოდ გამხდარი ქონება მის რეალიზაციას დაუბრუნდეს, რასაც ადასტურებს მისი 2014 წლის 11 დეკემბრის წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიმართ. სამწუხაროდ, მთავრობის

შესაბამის უწყებებს, მოცემულ დრომდე, ერთიანი და მკაფიო პოზიცია არ გააჩნიათ, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს სამართლიანობის აღდგენის პროცესი ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი — ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებუ-

ლი საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. ამავე კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამოცემა ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში — ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცემული 2007 წლის 6 ივნისის №285 განკარგულების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ბათილია, რადგანაც არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. პრეზიდენტი ინფორმირებული იყო როლანდ ბლადაძის ქონების გასხვივების დროს, რომ მისი იმჟამინდელი მესაკუთრე სადაოდ ხდიდა ქონების ჩამორთმევის ფაქტს, არ მომხდარა იმ ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური და სამართლიანი შეფასება, რომელიც ქონების ჩამორთმევის საფუძველი გახდებოდა, ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუხდენია საკითხის სრულფასოვანი შესწავლა, წარდგენილი მტკიცებულებების გაზიარება და მისი ნამდვილობის შემოწმება. შესაბამისად, პრეზიდენტის განკარგულების სადაოდ

მიჩნეული ნაწილი, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების შეფასებისა და შესწავლის გარეშე იქნა მიღებული, რაც დაადასტურა საქმეზე 2013 წლის 12 აპრილის აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილებამ. შესაბამისად, ახლა არსებობს ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ პრეზიდენტის 2007 წლის 6 ივნისის №285 განკარგულების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ბათილად იქნეს ცნობილი — აღინიშნა პრეზიდენტის მიმართ ადმინისტრაციულ საჩივარში. „ახლავაზრდა ადვოკატების“ იურისტის, ანა კიკნაძის განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა, თუმცა სადაოდ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრეზიდენტს შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი პოზიცია არ აღმოაჩნდა, რომლითაც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ განკარგულების რომელიმე დებულება შეფასდებოდა. შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მხარეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ მიღებული განკარგულების გასაჩივრება სასამართლო წესით მიუთითა და 2015 წლის 18 მარტის საპასუხო წერილში აღნიშნა, რომ „ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს“. ამასთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მიუთითა, რომ „უდავოა, რომ პრეზიდენტი არ არის უფლებამოსილი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ან პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების საკითხზე მიიღოს გადაწყვეტილება“.



ევროპარლამენტი, ევროსაბჭო და ვენეციის კომისია როლანდ ბლადაძის სახლში, ბიორბი პაპუაშვილის სხოვრების ფაქტს ეხმაურება

ევროპარლამენტის აღმოსავლეთ პარტნიორობის და რუსეთის სამმართველოს საგარეო პოლიტიკის გენერალური დირექტორატი ფილიპე კამარისი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ 2014 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნებულ კვლევას ეხმაურება, რომელის თანახმადაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, უკანონოდ ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრობს. წერილში ნათქვამია, რომ ევროპარლამენტი ყურადღებით აკვირდება საქართველოში, საკუთრების უფლების სადაო საკითხებთან დაკავშირებულ პროცესს და გამოხატულია ინტერესი, თუ როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, ორგანიზაციის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წინადადებების გათვალისწინებას.

„გიკავშირებით ევროპარლამენტის პრეზიდენტის სახელით და ვადასტურებთ, რომ მივიღეთ თქვენს მიერ გამოგზავნილი მასალა, რომელმაც ასევე მიიპყრო ევროპარლამენტის დელეგაციის, საქართველო-ევროკავშირის პარლამენტის თანამშრომლობის კომიტეტის ყურადღებაც, რომლის თავმჯდომარეც არის ბატონი საჯად კარიმი. როგორც მოგეხსენებათ, საკუთრებისა და მიწასთან დაკავშირებული უფლებები იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას „საქართველო - გარდამავალ პერიოდში“ საორიენტაციო მოხსენებაში, რომელიც გამოიცა ბატონი თომას ჰამარბერგის მიერ. ჩვენ გვქონდა პატივი, გასულ წლებში, ევროპარლამენტში შევხვედროდით და პირადი კომუნიკაცია გვქონდა ბატონ ჰამარბერგთან. შესაბამისად, ჩვენთვის ცნობილია იმ უამრავი საჩივრების შესახებ, რომელიც არსებობს საქართველოში უკანონოდ საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ წარმოადგინეთ სპეციფიკური ქეისი, თომას ჰამარბერგის ანგარიშში არსებობს ზოგადი რეკომენდაცია, თუ სასამართლო დაადასტურებს, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ასეთი კანონდარღვევის ფაქტს, „როდესაც რესტიტუცია (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა) შესაძლებელია, ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.“ იმის მიუხედავად, რომ ანგარიშში მითითებულია, რომ მთლიანი კომპენსაციის მიღება რთულ საკითხად რჩება, მასში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, მსგავსი შემთხვევების გამკლავების მიზნით, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, უნდა შეიმუშაოს რეალური მექანიზმი და აგრეთვე, შესაძლებელია, საკითხთან დაკავშირებით, გადაიხედოს არსებული კანონმდებლობა. თქვენს საქმეში მოცემული სპეციფიკური შემთხვევის მიღმა, ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება იყოს ძალიან საინტერესო ევროპარლამენტის დელეგაციის წევრებისთვის, საქართველო-ევროკავშირის პარლამენტის თანამშრომლობის კომიტეტისთვის, რომ თქვენი ორგანიზაციის მეშვეობით, მივიღეთ ინფორმაცია, თუ რა კონკრეტული ნაბიჯები იქნა გადადგმული ზემოთქმული რეკომენდაციების შესრულებისთვის და როგორ აფასებს თქვენი ორგანიზაცია ამ პროცესს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, მოვახდინოთ ფოკუსირება კონკრეტულ საკითხზე ევროპარლამენტის წევრებთან მოლაპარაკებების დროს, რომლებიც ვალდებული არიან ჰყავდეთ წარმომადგენლები საქართველოს პარლამენტში ამ მიმართულებებით“

- ნათქვამია ორგანიზაციის მიმართ, 2014 წლის 10 ნოემბერს, ევროპარლამენტის პრეზიდენტის სახელით გამოგზავნილ წერილში.

ევროპარლამენტის შემდგომ, როლანდ ბლადაძის საქმეზე, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გამოხმაურება მიიღო ევროსაბჭოდანაც. როგორც ევროსაბჭოს რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ცენტრალური აზიის რეგიონის დირექტორატის განყოფილების უფროსის, დირკუზუბელის 2014 წლის 28 ნოემბრის წერილშია ნათქვამი, ქონებაჩამორთმეულთა საქმეები საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის გამონვევაა, რომელიც ეფექტურ გადაწყვეტილებებს მოითხოვს.

„თქვენი კვლევა და სამართლებრივი ანალიზი, აჭარის რეგიონში უკანონოდ ქონებაჩამორთმეულების საქმეზე, ხელს უწყობს ქვეყანაში დამკვიდრებული წების სანინალმდეგოდ, ხელისუფლებისათვის ქონების გადაცემის პრაქტიკის შეცნობას, რომლის გამოც, მოქალაქეების მიერ გასაჩივრების რაოდენობა ასობით გაიზარდა 2012 წლის ხელისუფლების ცვლილებების შემდეგ. დაზარალებული მოქალაქეები მიუთითებდნენ თავიანთ საჩივრებში, რომ მათ ქონება იძულებისა და ზეწოლის გზით ჩამოართვეს. წარსულ უსამართლობაზე ადეკვატური პასუხის გაცემა და მისი მოგვარება არის ნამდვილად ერთ-ერთი გამონვევა, რომელსაც ჭირდება ადეკვატური პასუხი, რეაგირება საქართველოს მთავრობის მხრიდან, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ „სამართლიანობის აღდგენა“ და დაუსჯელობის სიდრომის წინააღმდეგ ბრძოლა, არის მისი პრიორიტეტული მიმართულება. ეს არ არის მარტივი ამოცანა და ისეთი პროფესიულ ორგანიზაციას, როგორც თქვენ წარმოადგენთ, შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ამ მიმართულებით, დამოუკიდებელი სამართლებრივი ანალიზის წარმოდგენით“ - ნათქვამია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიმართ, დირკუზუბელის წერილში, რომელიც ასევე საუბრობს საქართველოში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის, თომას ჰამარბერგის დასკვნაზეც და მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე ეფექტური გადაწყვეტილებებისთვის.

ვენეციის კომისია უკვე მესამე ევროპული ინსტიტუტია, რომელიც ქონებაჩამორთმეულის სახლში, გიორგი პაპუაშვილის ცხოვრების ფაქტს გამოეხმაურა. როგორც ვენეციის კომისიის სამდივნოს დირექტორის, თომას მარკეტის 2014 წლის 9 დეკემბრის წერილშია ნათქვამი, ვენეციის კომისია სრულად გაეცნო წარმოდგენილ საქმეს და ორგანიზაციის მიმართ, კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოს სახელით, უფლებამოსილია მაღლობა გადაიხადოს წარმოდგენილი დოკუმენტისთვის. წერილის თანახმად, ვენეციის კომისია როლანდ ბლადაძის შემთხვევაზე ვერ განიხილავს არსებითად, ვინაიდან ფაქტი ეხება ინდივიდუალურ საქმეს, თუმცა ვენეციის კომისია უკვე გაეცნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან სადაოდ გამხდარი საკუთრების ფაქტს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ როლანდ ბლადაძის საქმეზე კვლევის ინგლისურენოვანი ვერსია საქართველოში დიპლომატიურ კორპუსს, ევროპის 20-მდე ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს, ვენეციის კომისიას და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაწოდა.



დიკრ შუბელი



თომას მარკეტი



ფილიზე კავარიში

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ხელისუფლებას სარეკომენდაციო წინადადებათა პაკეტით მიმართა და აჭარაში, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, სამართლებრივი მოქმედებების უზრუნველყოფის დაჩქარება მოითხოვა.



ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას სარეკომენდაციო წინადადებათა პაკეტით მიმართა და აჭარაში, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, სამართლებრივი მოქმედებების უზრუნველყოფის დაჩქარება მოითხოვა.
„ახალგაზრდა ადვოკატები“ ქონებაჩამორთმეულთა საკითხის მიმართ, სახელმწიფო ინსტიტუციებს - საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტს, საერთო სასამართლოებს, პროკურატურას, მათ შორის ქონებაჩამორთმეულ მოქალაქეებსაც მიმართავს და 2004-2012 წლებში, საკუთრების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით, სისტემურ შეფასებას და ეფექტურ რეაგირებას მოითხოვს:

რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის მიმართ

- მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური შეფასება მისცეს 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდში, მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ ქმედებას ქონების დათმობასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი სივრცის გაჩენა, რომელიც მიმართული იქნება საქმეებზე სამართლიანი გადაწყვეტილებების კენ, ყოფილი და მოქმედი კეთილსინდისიერი მესაკუთრეების უფლებებისა და ინტერესების დაცვისკენ;
- მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა სადაოდ მიჩნეულ ქონებებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, გამოაცხადოს მორატორიუმი, რითაც უკანონოდ შექმნილი ქონების მფლობელთა მხრიდან შეჩერდება მათი გასხვისების პროცესი;
- მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური შეფასება მისცეს წინამორბედის მიერ 2007 წლის 6 ივნისის მიღებულ №285 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ძალაში შევიდა გადაწყვეტილება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ და აჭარის ყოფილი მთავრობის წევრებსა და აჭარის ყოფილ მეთაურთან დაახლოებულ პირებს ჩამოერთვათ საკუთრება.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის მიმართ

- მნიშვნელოვანია, საქართველოს

მთავრობამ დააჩქაროს სამართლებრივი მოქმედებები ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ სამართლიანი გადაწყვეტილებების დადგომისთვის. ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ გამოყენებული იქნეს „რეპრესიების მსხვერპლის“ სტატუსი;

• მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ შექმნას სამართლებრივი სივრცე და 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდში, მოქალაქეები, რომლებსაც საკუთრება იძულებით და უკანონოდ დაათმობინეს, მიენიჭოთ დაზარალებულის სტატუსი. მოხდეს აღნიშნული საქმეების სამართლებრივი კვალიფიკაცია;

• მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ გააგრძელოს მოქმედებები მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის მიმართულებით, რომელიც გააჩენს სამართლებრივ მექანიზმს სამართლიანობის აღდგენის პროცესში, დაზარალებული მოქალაქეების ინტერესების განხორციელებისთვის და გადაჭრის უკანონო/დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებებით გამოწვეული უფლებადარღვევის ფაქტების არსებულ სინამდვილეს.

რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის მიმართ

- მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა აღმოფხვრას საკანონმდებლო ხარვეზი, მიიღოს პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილება და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის პრეცედენტული გადაწყვეტილების საფუძველზე, განხორციელოს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოებში საქმის განხილვის დასაშვებობის ხანდაზმულობის ვადა გაიზარდოს 5 წელზე მეტი ვადით.

რეკომენდაციები საქართველოს პროკურატურის მიმართ

- მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ პროკურატურამ ქონებაჩამორთმეულ მოქალაქეებთან იქონიოს ჯეროვანი კონტაქტი, რათა არსებობდეს სრული ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის, ეტაპების, შემადგენელი გარემოებებისა და დასრულების გონივრული ვადების თაობაზე;
- მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გამოძიების პროცესში საპროკურორო უფლებამოსილება განახორციელონ უიერებმა, რომლებსაც წარსულში, ნებისით და უნებლიეთ, შემხებლობა არ გააჩნდნათ სისტემური დანაშაულებების პროცესთან.

რეკომენდაციები ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ

- მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულთა მოქალაქეებმა აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს პროკურატურასთან და საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მიმართონ საერთო სასამართლოებს, რათა დაყადაღდეს მათთვის წართმეული ქონება და გამოძიების დასრულებამდე, არ მოხდეს აღნიშნული ქონებების გასხვისება, გადამალვა ან გაფლანგვა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წარმოდგენილი სარეკომენდაციო პაკეტი კვლევის: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ“ ფარგლებში მოამზადეს. ცალკეული სარეკომენდაციო წინადადებების მიმართ, აქტიური გამომხატურება მომზადდა საქართველოს მთავრობიდან და საქართველოს პარლამენტის მხრიდან.

“როდის?” - პრემიერი როლანდ ბლადაძის საქმეზე კითხვას სვამს



ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ვებმაურებით 2015 წლის 26 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის ქართულ ჟურნალისტურ კორპუსთან შეხვედრაზე დასმულ შეკითხვას, რომელიც შეეხო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის ქონებაჩამორთმეულ როლანდ ბლადაძის სახლში ცხოვრების ფაქტს. „როდის?“ - გა-

ნაცხადა პრემიერმა ირაკლი ლარიბაშვილმა როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, რითაც გამოხატა დაინტერესება, თუ როდის ჩამოერთვა მოქალაქის ქონება და გადაეცა სიმბოლურ თანხად გიორგი პაპუაშვილს. „ახალგაზრდა ადვოკატები“ პრემიერთან როლანდ ბლადაძის საქმის შესახებ დასმულ საკითხს ეხმაურება და როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველები შევნიშ-

ნავთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ჟურნალისტის მხრიდან დასმული კითხვა შეიცავდა სამ ფაქტობრივ უზუსტობას. შესაბამისად, საქმის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, უნდა დაზუსტდეს შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. კერძოდ, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ბინა, მდებარე ქალაქბათუმში, გორგელაძის ქუჩა №37-ში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გადაეცა 2007 წლის ივნისში. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, გიორგი პაპუაშვილს როლანდ ბლადაძის კუთვნილი ქონება გადასცა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ მიღებული განკარგულების საფუძველზე, სიმბოლურ ფასად - 1000 ლარად. როლანდ ბლადაძეს ზემოაღნიშნული ქონება ჩამოერთვა 2004 წლის სექტემბერში, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი.

როლანდ ბლადაძეს უკანონოდ ჩამოართვეს საცხოვრებელი ბინა, ვინაიდან ის დანაშაულის, რომლის ჩადენასაც პროკურატურა მას ედავებოდა და რის გამოც მოთხოვნილი იქნა როლანდ ბლადაძის საკუთრებაში არსებული ქონების უკანონოდ, დაუსაბუთებლად ცნობა, ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა, დღეს არ არსებობს და არც არსებობდა. შესაბამისად, საქმეზე სამართლებრივი მოქმედებები გრძელდება.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამომხატურება ჟურნალისტის კითხვაზე, იყო აბსოლუტურად მისაღები და შესაბამისი. 2015 წლის 26 მარტის მდგომარეობით, საქმეს სწავლობს საქართველოს მთავარი პროკურატურა. საქმის შესახებ საქმის კურსია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და სხვა შესაბამისი უწყებები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, როგორც როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველი ორგანიზაცია, საქმით დაინტერესებულ ჟურნალისტებს მიმართავს, რათა მომავალში თავად ადვოკატებთან გადამოწმდეს და დაზუსტდეს საქმის ყველა ის საკითხი, რომლის არასწორმა წარმოდგენამ შესაძლებელია შეცდომამ შეიყვანოს საზოგადოება, შექმნას დამაბნეველი მიდგომები და ხელი შეუშალოს საქმეზე სამართლიანობის აღდგენის პროცესის განხორციელებას.

როლანდ ბლადაძის საქმეზე კვლევა აჭარის სამოქალაქო საქმის გახსნა



2014 წლის ოქტომბერში, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრა და საქმეზე მომზადებული კვლევის პრეზენტაცია გამართა. შეხვედრა მომზადდა სადისკუსიო ფორმატში და ნაჩვენები იქნა უკანონოდ ჩამორთმეული ქონების შესახებ მომზადებული სპეცი-

ალური ფილმი. მოგვიანებით, ორგანიზაციის წევრებმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, სამოქალაქო კამპანიის ფარგლებში, კვლევა მოსახლეობაში უფასოდ გაავრცელეს. ამასთან, შეუერთდნენ ქონებაჩამორთმეულის ოჯახის წევრების მდუმარე აქციას, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის საცხოვრებელ ბინასთან, სახელწოდებით: „დამიბრუნე ჩემი ქონება“ - გაიმართა.



„ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევა მოქალაქეებს უფასოდ გალავნათ

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, სამოქალაქო კამპანიის ფარგლებში, კვლევა: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ“, მოსახლე-

ობაში უფასოდ გაავრცელეს. ამასთან, ორგანიზაციამ კვლევა მიანოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და სასამართლოს სხვა მოსამართლეებსაც.



„ახალგაზრდა ადვოკატები“ გიორგი პაპუაშვილთან საღაპო ქონების საკითხზე, ურნალისტურ კორპუსს შეხვდა

„ახალგაზრდა ადვოკატები“, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, 2014 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული კვლევა: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ“, წამყვანი ქართული ბეჭდურ და ელექტრონული მედიის წარმომადგენლებს გააცნეს. შეხვედრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაიმართა და გაზეთებისა და ახალი ამბების სააგენტოების 30-ზე მეტი სამართლის, პოლიტიკისა და საზოგადოების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტები დაესწრნენ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, არჩილ კაციციანიშვილის განცხადებით, ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შემდგომ, რომლის თანახმადაც, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის მხრიდან ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრების ფაქტი, ჟურ-



„ახალგაზრდა ადვოკატების“ აქცია საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტის სახელთან

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“, აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის საცხოვრებელ სახლთან, სახელწოდებით: „დამიბრუნე ჩემი ქონება“, აქცია გაიმართეს. აქციას როლანდ ბლადაძის ოჯახის წევრები და მხარდაჭერები დაესწრნენ.

რის, გიორგი პაპუაშვილის საცხოვრებელ სახლთან, სახელწოდებით: „დამიბრუნე ჩემი ქონება“, აქცია გაიმართეს. აქციას როლანდ ბლადაძის ოჯახის წევრები და მხარდაჭერები დაესწრნენ.

პრ იყიდება!!!

გიორგი პაპუაშვილმა სადავო ქონება, ფიქტიური ხელშეკრულებით, ოჯახის ახლობელს მიჰყიდა

გაზეთი გამოსაცემად მზად იყო, როდესაც ცნობილი გახდა გიორგი პაპუაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - გაასხვისოს როლანდ ბლადაძის კუთვნილი ქონება. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2015 წლის 4 აპრილს, საგანგებო ბრიფინგი გაიმართა.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი, ადვოკატი ნანა წულაძე საქართველოს მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვიციანიშვილს საგანგებო განცხადებით მიმართავს და სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს, რომელიც ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის მხრიდან 2015 წლის 17 მარტს მიღებული გადაწყვეტილების შეჩერებას და საამისოდ, შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებას.

ადვოკატების განცხადებით, გიორგი პაპუაშვილმა სრული იგნორირება გაუკეთა საქართველოს მთავრობის მიერ საზოგადოებისთვის მიცემულ პირობას ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სწრაფი და ეფექტური გამოძიების თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება სადავო გამხდარი საცხოვრებელი სახლის, თვალთმაქცური გარიგების გზით, გაყიდვასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, გიორგი პაპუაშვილი 2007 წლიდან, აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის სახლში ცხოვრობს და საქმეზე დღემდე მიმდინარეობს სამართლებრივი დავა. გიორგი პაპუაშვილისთვის როლანდ ბლადაძის ქონების გადაცემის ფაქტს სწავლობს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი. ხოლო, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხის მისაკუთრებაზე აჭარის ა/რ საგამოძიებო ნაწილში, თალითობის მუხლით, მიმდინარეობს გამოძიება. მიუხედავად ამისა, გიორგი პაპუაშვილმა 2015 წლის 17 მარტს მოქალაქე გიორგი ლევიძესთან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება და როლანდ ბლადაძის საცხოვრებელი სახლი გაასხვისა 195 000 აშშ დოლარად. იქედან გამომდინარე, რომ სადავო ქონებაზე როლანდ ბლადაძის ადვოკატების მხრიდან მოთხოვნილია ყადაღის წარმოშობის რეგისტრაცია, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გიორგი პაპუაშვილს ნასყიდობის ხელშეკრულების ცნობაზე უარი უთხრა და ამჟამად, გიორგი პაპუაშვილის მხრიდან როლანდ ბლადაძის კუთვნილი ქონების გასხვისების პროცესი დროებით შეჩერებულია.

ადვოკატების განცხადებით, გიორგი პაპუაშვილი, როგორც როლანდ ბლადაძის ქონების არაკეთილსინდისიერი შემძენი და მესაკუთრეა, ასევე, გიორგი ლევიძესთან 2015 წლის 17 მარტს დადებული ნასყიდობის ხელ-

შეკრულება ფიქტიური და ბათილია, ვინაიდან ადგილი აქვს თვალთმაქცურ გარიგებას. ადვოკატები საზოგადოებისთვის საჯაროს ხდის გიორგი ლევიძის ნათესაურ კავშირებს გიორგი პაპუაშვილის ოჯახთან. გიორგი ლევიძე არის გიორგი პაპუაშვილის ცოლის დის, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტის, ეკა ხოფერიას ყოფილი მეუღლე. მიღებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი ლევიძე როლანდ ბლადაძის კუთვნილი ქონების გადაფორმებას, ეკა ხოფერიასთან ქორწინებიდან, საერთო შვილისთვის აპირებს. ადვოკატების შეფასებით, გიორგი პაპუაშვილის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა სამართლიანობის აღდგენის პროცესის პირდაპირი დისკრედიტაციაა, როდესაც დავასთან დაკავშირებით ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, ჯერ საკუთარი დასკვნა არ წარმოუდგენიათ, გიორგი პაპუაშვილი კი სადავო ქონების გასხვისების მცდელობით გამოხატავს პირდაპირ უპატივცემულობის კანონიერების, სამართლიანობის და მართლმსაჯულების პრინციპების მიმართ და საკუთარი შესაძლო, დანაშაულებების დამალვას ცდილობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიმართავს:

- საქართველოს მთავარ პროკურატურას, მოხდეს როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული ქონების საქმეზე პროკურატურის შუამდგომლობა და სასამართლოს მიემართოს სადავო ქონებაზე ყადაღის წარმოშობის შესახებ;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რათა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მაქსიმალურად დაიცვას ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველთა მიმართიანობა და არ მოახდინოს გიორგი პაპუაშვილის ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულების ცნობა სააგენტოსთვის წარდგენილი მხარის სამართლებრივი დასაბუთების საფუძველზე;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ხელოვნურად არ გაჭიანურდეს წინადადების განხილვა, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან გიორგი პაპუაშვილისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზების საკითხს;
- საქართველოს საერთო სასამართლოებს, არ მოხდეს გიორგი პაპუაშვილის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ, შეგნებული პრიორიტეტის მინიჭება და როლანდ ბლადაძის ადვოკატების განცხადებების განუხილველად დატოვება, თითქოსდა სადავო ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის წარმოშობის არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს;
- საქართველოს სახალხო დამცველს, როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით ომბუდსმენის ოფისმა მოახდინოს მონიტორინგის განხორციელება, რათა სამართლიანობის აღდგენის პროცესში არ მოხდეს შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელება.
- ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელ ბატონ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს, რათა



როლანდ ბლადაძის ადვოკატებს მიეცეს შესაძლებლობა გადაცემებში: „იმედის კვირა“ და „რეაქცია“ მონაწილეობის უფლება, მაშინ როდესაც განხილვის თემაა: სამართლიანობის აღდგენა ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე. დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მეპატრონეების საყურადღებოდ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჟურნალისტ ეკა ხოფერიას ფაქტორიდან გამომდინარე, გიორგი პაპუაშვილის მხრიდან ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრების საქმე, ტაბუდადებულია. საკითხზე მსჯელობისგან თავს იკავებს ჟურნალისტი ინვა გრიგოლია. ტელეკომპანია „იმედის“ გადამღები ჯგუფის მხრიდან როლანდ ბლადაძის საქმეზე, ბოლო სამი თვის მანძილზე ჩატარებული ყველა პრესკონფერენცია გაშუქების გარეშე დარჩა, მაშინ როდესაც ტელეკომპანიის ჟურნალისტები სპეციალურად ესწრებოდნენ აღნიშნულ ბრიფინგებს.

გიორგი ლევიძეს და მასთან ერთად საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც შესაძლოა გამოთქვან როლანდ ბლადაძის კუთვნილი ქონების შეძენის სურვილი, აუცილებელი გაფრთხილება, ყველა სამართლებრივი დოკუმენტით დადასტურებული ფაქტია, რომ ზინა მდებარე ქალაქ ბათუმში, მისამართზე გორგილაძის ქუჩა №37, საკადასტრო კოდით: 05.23.17.008.01.008 ეკუთვნოდა როლანდ ბლადაძეს და ქონების დაბრუნებისთვის მიმდინარეობს შიდაეროვნული სამართალწარმოება.

როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველები გიორგი პაპუაშვილის მხრიდან მიღებულ გადაწყვეტილებებს სასამართლო წესით გაასაჩივრებენ. ფაქტის შესახებ ეცნობება საქართველოში დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ინსტიტუტებს.



Non-Profit Human Rights NGO Young Barristers არასამთავრობო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ახალგაზრდა ადვოკატები“

გაზეთი მომზადდა ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის ჯგუფის მხრიდან და მიზნად ისახავს მოქალაქეთა ინფორმირების გაზრდას როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით. ორგანიზაცია მზად არის, თიანეთში მოხდეს დანიტერესებულ მხარესთან და გააცნოს საქმის მასალები. გაზეთი იბეჭდება ორგანიზაციის ფინანსური შესაძლებლობებით და გამოდის ერთჯერადად.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და იურიდიული ფირმა „კაიკაციშვილი და ადვოკატების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ცაბო გუგუნიანი 599 010344

მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;
E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა_ადვოკატები

ლორსაბა თაყაიშვილი თანაპროკორი

ახალგაზრდა ადვოკატები YOUNG BARRISTERS

DIGNITY LIBERTY EQUALITY

KAIKATSHIVILI & BARRISTERS

კაიკაციშვილი & ადვოკატები